# საერთო გაზეთი

№14 (519) • 17 აპრილი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## ახალი ეროვნული მოძრაობა ახალი საქართველოსთვის







„საერთო გაზეთის“ და მწერალთა ეროვნული აკადემიის ინიციატივით ვიწყებთ დისკუსიას თემაზე „ახალი ეროვნული მოძრაობა ახალი საქართველოსთვის“, რომელშიც მონაწილეობას იღებენ მწერლები, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, პოლიტიკოსები, ექსპერტები.

## „მფატრავი“ სანდრა




უკრაინულ მედიაში სანდრა რულოვსს რულოფსად მოიხსენიებენ და შავ ბაზარზე ადამიანის ორგანოების ვაჭრობის მონოპოლისტს უწოდებენ



მანუჩარ მაჩაიძე – 70

## ძველი „როქები“ ახალი ნიღბებით

ჩასვრილთა, გასვრილთა და მოხმარებიდან გასულთა შესახებ

## გამოთაყვანების ზღვარზე, ანუ „ტოსკა“ თუ „სოსკა“?!

## ჯულიან ასანჟის ოდისეა დამთავრდა




***გასული კვირა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებით დატვირთული გახლდათ, რაც სოციალური ქსელის მომხმარებელთა აქტივობებშიც აისახა.***

სოციალური ქსელის მომხმარებელი **გიორგი გიორგაძე** სოციალურ ქსელში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის ნიკა მელიას მამას ანზორ მელიას მიმართავს.

„ანზორ მელია, იცი რა გააკეთა ბიძინამ? ის რო გულის ექიმთან დაიწყო ხალხმა სიარული და შუნტირება 27 000 ლარის ნაცვლად უფასოა, სტენდირება



4000 ლარის ნაცვლად უფასოა, C ჰეპატიტის მკურნალობა მრავალი ათასის ნაცვლად უფასოა, სოფლებში თუ ვინმეს ბენზო ხერხი და მსგავსი ტექნიკა აქვს 80% ვაუჩერებით აქვთ უფასოდ, ასევე სასუქი ყველას უფასო აქვს. იმათ 9 წელთან შედარებით,700%-ით მეტ სოფლებს გაზიფიცირება და ინფრასტრუქტურული სამუშაოები, უფასო წიგნები ყველას, ასევე შენი შვილის მიერ ქონება წართმეულ ხალხს უბრუნებს საკუთარ უძრავ მოძრავ ქონებას, 600 000 მოქალაქეს გაუსტუმრა საბანკო დავალიანება, პოლიციელები აღარ კლავენ მოქალაქეებს, აღარავინ აღარ დადის ჯიბეამოკერილი შარვლით იმის შიშით, რომ ვიღაცა წამალს ჩაუგდებს ჯიბეში" – წერს გიორგაძე.

პუბლიცისტი **დავით კალანდია** კი ფეისბუქის პირად გვერდზე ჟურნალისტი ლუბა ელიაშვილის მოწოდებას ასე ეხმიანება:

„მშვენიერმა ქალმა" ლუბა ელიაშვილმა დადო თავის კედელზე ასეთი მოწოდება: „იცოდეთ ხალხო, ივანიშვილი ფულს მხ-



ოლოდ იმიტომ ხარჯავს, რომ მერე 1000-მაგად ამოიღოს. უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია".

დავფიქრდი! თავის დროზე ივანიშვილმა სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებაში მილიარდი დოლარი დახარჯა. სხვათა შორის, ამას არც ნაციკები, არც ქოციკები, არც ერევნელი ადვენტისტები, არც თავისუფალი მეარღნეები და არც თვით ელ-რეგისტანი არ უარჰყოფს.

მილიარდი დოლარი! ანუ, 1000 ჯერ მეტის ამოღების სურვილით, მილიარდი დოლარი დახარჯა. ჯერ კალკულატორზე გადავითვალე, მერე თითებზე გადავამოწმე და კიდე გამრავლების ტაბულაში ჩავიხედე, და გამოდის, რომ ივანიშვილს ამ ჩვენის ქვეყნიდან ერთი ტრილიონის ამოღება სურს! ანუ, ქვეყანაში ერთი ტრილიონი დოლარი დევს.

და თუ ასეთ მდიდარ ქვეყანაში ვცხოვრობთ, საიდანაც ერთი ტრილიონის ამოღება შეიძლება, რა გვატირებს?

მოდი, დავასწროთ ივანიშვილს



და ჩვენ თვითონ ავიღოთ ის ერთი ტრილიონი, და მერე პა ბრაცკი გავიყოთ!

რამდენი ვართ? 4 მილიონი, ხო? ერთი ტრილიონი 4 მილიონზე რო გავყოთ, გამოდის 250 000. თითოეულს 250 000 დოლარი გვერგება.

იმედია ყველა შეგნებული მოქალაქე, პრემიის სახით, თავისი თანხიდან 50 000-ს მე მიწილადებს, როგორც გენიალური იდეის ავტორს, და 200 000 დოლარს დაჯერდება. დამიჯერეთ, 200 000 დოლარი ძალიან კარგი თანხაა. მე კი მექნება 200 მილიონი. ამ ფულით კარგ საქმეებს გავაკეთებ: პოლ მაკარტნის ჩამოვიყვან საკონცერტოდ, მერე დიდ პურმარილს გადავიხდი, და მერე...და მერე ჩემი დუხი არ იქნება ამ სივრცეში.

ავორთქლდები ამ ქვეყნიდან, როგორც წყალბადი. ხომ მაგარი იდეაა?

ასე რომ იფიქრეთ, და დღის ბოლომდე მომახსენეთ პასუხი. ვიჩქაროთ, სანამ ივანიშვილმა არ დაგვასწრო და ერთი ტრილიონი არ ამოგვაცალა პირიდან" – წერს კალანდია.

ჟურნალისტი **ლალი მოროშკინა** სოციალურ ქსელში „ქართული ოცნების" თავმჯდომარეს კიდევ ერთხელ უდასტურებს თავის პატივისცემას და 10 პუნქტიან სიას აქვეყნებს, რომლის გამოც, ბიძინა ივანიშვილის მადლობელია.

„SOS! არ მაინტერესებს თქვენი ანტისახელმწიფოებრივი და ანტიბიძინური ბოდვა! ერთხელ ვიტყვი და აღარ გავიმეორებ!!!! ჩათვალეთ მე სუბიექტური ადამიანი ვარ!!! მე მადლობელი ვარ ბიძინა ივანიშვილის მინიმუმ 10 პუნქტის გამო: 1. არ ვუკერავ შვილებს ჯიბეებს, რომ არ ჩატენონ ნარკოტიკი როდესაც სახლიდან გადიან, როგორც 2006 წ.ნულოვანი ტოლერანტობის გამოცხადების შემდეგ! 2. არ ვიხვეწები, როგორც 2006-ში თსუ-ში და სხვა უნივერსიტეტებში, ძალიან პატივცემულ ლექტორებთან ერთად დაგვაბრუნონ, ჩვენს შტატზე! 3. არ მეშინია, როგორც 2007-ში მიშას რეჟიმი მომიკლავს შვილის მამას! 4. არ მეშინია, როგორც 2006–2013წ. რომ მეზობელს, მეგობარს, უბრალოდ გამვლელს მოგვიკლავს C ჰეპატიტი... 5. არ მეშინია, როგორც 2007-ში?რომ ძლივს, ბანკით და ვაი-ვაგლახით ნაშრომ, პაწაწინა 6 ნომრიან სასტუმროს წამართმევენ ზონდერები 6. არ მეშინია, როგორც 2007-ში, ჩემს "სახედაკარგულ" მაგრამ მაინც კოლეგებს, ამდენი სისულელის ბჟუტურის გამო თავ-ყბას გაუნგრევენ! 7. არ მეშინია, როგორც



2008 წ. შსს-ს დავალებით, რომელიმე ორიენტაციაარეული ვითომ დიზაინერი დაუწყებს „ჩალიჩს" რომელიმე ჩემს შვილს, რომ თავი აცემინოს და მერე გამოკეტოს ციხეში, (როგორც გამოუკეტიათ წესიერი ვაჟკაცები) 8. არ მეშინია, რომ მიზანმიმართულად, მიბჯენით დახვრეტენ ბიჭებს...როგორც მრავალი წლის განმავლობაში 9. არ მეშინია, რომ პატიმრებს დააძალებენ ტექნიკური ზეთი მოასხან საჭმელს და ის ჭამონ, 10 კაციან საკანში 120 კაცი გამოამწყვდიონ, დახოცილი ბიჭები ორგანოებ ამოცლილი მიუგდონ მშობლებს! 10. არ მეშინია შიმშილობა და მოდულში გამოკეტვა, როგორც 2011წელს! ვისაც არ მოგწონთ ჩემი პოზიცია, ჩუმად ამომშალეთ, ნუ დაიღლით იოგებს, ნუ დაღლით კალამს!



**P.S.**სანდრას გადაეცით, კინო წინ აქვს, არაფერი არ დამვიწყებია, მისი პირადი ცხოვრების არქივებიც ხელუხლებელია ჯერ! გაიხსენე ძვირფასო საბურთალო და ვედეენხა! – წერს მოროშკინა.

სოციალური ქსელის მომხმარებლის **ლევან ადეიშვილის** საინტერესო სტატუსი, რომლითაც განათლების მინისტრს მიმართავს: „პარლამენტმა სასკოლო გამოცდები გააუქმა!

ბავშვებმა უკვე გადააგდეს წიგნები! ისედაც ძლივს სწავლობდნენ და აწი ისეთ საგნებს, რაც არ ბარდება უმაღლესში, მაგალითად, ფიზიკა – გეოგრაფიას სულ მთლად მიაგდებენ და ინჩიბინჩი აღარ ეცოდინებათ! ესაა სწავლის ისედაც მიკნავლებული დონის სულ წაქცევის წინაპირობა!

მოკლედ, ერო შენ არ გჭირდება მეცნიერება და განათლება!

შენი ადგილი მსოფლიოში განსაზღვრულია.

ტურისტული! გასართობი ინდუსტრიის სფერო!

რათა დაულაგო გაურეცხო აჭამო და გაართო ჩამოსული თეთრი ბატონები და ასევე შავ**აკებიც თუ ფული აქვთ.

ხო, კიდე ბოზებიცაა საჭირო!

სასტუმროები ფაბრიკების მაგიერ! რესტორნები ქარხნების მაგიერ! კაზინოები მეცნიერების მაგიერ! და ბევრი უნივერსიტეტები, რათა დიპლომიანი უსწავლელები ბეჭდონ ქვეყანაში, სადაც სამუშაო ადგილები ამდენი ჩადიპლომებული პროფესიისათვის კი არა, მუშისათვის არაა! სამაგიეროდ, ახალგამოცხვარმა რექტორებმა უნდა აკეთონ ფულები!

სსრკ-ს დროს კოლონია რომ ვიყავით ეს დრო წასულია!!

ახლა ვხარობთ თავისუფალნი თავისუფალ სამყაროში. მათ შეგვაშრეს ცრემლები! მოგვწმინდეს იმპერიის ნაწიხლარი!! ჩამოიტანეს ფაბრიკა ქარხნები! გაგვიმტკიცეს საზღვრები! დაგვსვეს ერთიან ევროპულ სუფრასთან თანასწორად და მოგვცეს წიგნი, რათა ვისწავლოთ და გავიგოთ ქვეყნის ამბავი".

„ქარხნებს რატომ არ აშენებს ივანიშვილიო...

რა ქნას?! – სადაც მივიდა, ყველგან სააკაშვილის აშენებული ქარხნები დახვდა!

ჰოდა, ჯერ იმ ქარხნებში დარჩენილი ვაკანსიები არ შევსებულა, სააკაშვილმა რომ ააშენა 100 საავადმყოფოს გვერდით!

შეივსება და მერე ახალი ქარხნებიც აშენდება და ახალი საავადმყოფოებიც!

აი, რა გეშველებათ, ნაცებო?! არაფერი!" – წერს ჟურნალისტი **ბონდო მძინარაშვილი**.



„საერთო გაზეთი"
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# ძველი „როქები“ ახალი ნიღბებით

## ჩასვრილთა, გასვრილთა და მოხმარებიდან გასულთა შესახებ

2019 წელი. 13 აპრილი. თბილისი. ვერა. ფილარმონია. 14 საათი და ნული წუთი. ბიძინა ივანიშვილზე გაბრაზებული „სასტავი“ მართავს... რას მართავს, ყრილობას? კრებას? აქციას? არ ვიცი, არც ორგანიზატორებმა იციან, არც დამსწრეებმა, არც გამვლელებმა, არც გამომვლელებმა, არც ჟურნალისტებმა, არც ღმერთმა, არც კაცმა, არც ეშმაკმა. თუმცა ეშმაკი რაღაცას მაინც ხვდება, ეშმაკია და ამიტომ.

რა უნდათ, რას აპირებენ მაღრაძეები, გაჩეჩილაძეები, კვაჭანტირაძეები, ბესელიები, ფოფხაძეები, გურგულიები, მხეიძეები და სხვები? არც ეს იციან, ჯერ არ ჩამოვყალიბებულვართო, უბრალოდ ისე გვინდა გავუშვათ ეს ხელისუფლება, რომ ვერც „ნაციონალური მოძრაობა“ მოვიდესო. საქართველო უნდა დავიცვათო, ჭაბუა ამირეჯიბმა ასე დაგვიჭერაო, ადრე ერთხელ უკვე დავიცავით და ეხლაცო. ვისგან იცავენ საქართველოს? არც ამაზე აქვთ პასუხი, უნდათ რომ თქვან, ბიძინასგანო, მაგრამ ვერ ამბობენ, რაღაც ვერ გამოდის. თანაც ჯერ ადრეა, ჯერ უნდა დახედონ, აქვთ თუ არა ხალხის გამოყვანის ტრაკი. თუ მასა ვერ აიყოლიეს, საბოლოოდ ჩაფლავდებიან და ამიტომაც ფრთხილობენ, უკან ყველა ხიდს ვერ წვავენ. თან ნიადაგს სინჯავენ, არ არიან დარწმუნებულნი, რომ ივანიშვილის გინება რეიტინგს აუწევთ. აკი აღიარა კიდეც ეკა ბესელიამ, პირველივე კვირას ივანიშვილის ლანძღვით ვერ დავიწყებთო. მერე კიდევ ერთი საიდუმლო გაამჟღავნა, შეიძლება „დაიცავი საქართველოს“ წიაღში მესამე ძალა ჩამოყალიბდესო, ალბათ პოლიტიკურ პარტიას შევქმნიო. დავით ჭიჭინაძესაც შეუქმნია ამას წინებზე პარტია. თაკო ჩარკვიანმა ხომ შექმნა და შექმნა. სხვებიც აპირებენ... როგორც კახეთში იტყვიან ხოლმე, კი არ კოწიწდებიან, კი აე ერთიანდებიან, წალიკდებიან და ბრინჯივით იბნევიან. გეგონება საქართველოში პარტიები გვაკლდეს, ოფიციალურად 239-ია დარეგისტრირებული, ახლა უფრო მეტი იქნება. შედეგი? არაფერი, მიიღებენ 00,1 პროცენტს არჩევნებში და ისევ ბიძინა ივანიშვილს დაუწყებენ გინებას, გაგვიყალბა, თორემ უმრავლესობით მოვდიოდითო.

გადავინაცვლოთ ფილარმონიის დარბაზში. სხდომას ხსნის პოეტი დავით მაღრაძე, რომელიც ცოტა ხნის წინ, საპრეზიდენტო არჩევნებისას „ქართულ ოცნებას“ და სალომე ზურაბიშვილს უჭერდა მხარს. ამავე სტილში გამოდიოდა სცენაზე და ამტკიცებდა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. გავიდა რამდენიმე თვე და ახლა იძახის, თან ვერც იძახის, ხშირად ჩაახველებს ხოლმე, სამ თითს ცხვირზე გაისვამს, ფიქრობს, ხომ არ გამეზარდა პინოქიოსავითო და როგორც კახეთში იტყვიან, ზნაყი-ზნუყით გვამცნობს, რომ ყველაფერი არის ძალიან ცუდად. თურმე ივანიშვილი და სააკაშვილი ერთდროულად უნდა მოვაშოროთ ამ ქვეყანას.



წვალობს დავით მაღრაძე. წვალობენ „ქართული ოცნებიდან“ გაქცეული თუ გაშვებული დეპუტატები. სიტუაციას გაბღენძილი აკვირდება ზვიად კვაჭანტირაძე – ის უსაზღვროდ ბედნიერია, როგორც იქნა, სულ სხვანაირად ესალმებიან მეზობლები. აი, ახლაც შეამჩნია, რომ ფილარმონიის შესასვლელში ვიღაცები სულ სხვანაირად მიესალმნენ, ყველის ვაჭრებივით გაუღიმეს. ეკა ბესელიას ძაან სერიოზული გამომეტყველება აქვს, პოლიტილოგ სოსო ცისკარიშვილის გვერდით მოკალათებულა და დიად მომავალს კდემამოსილებით შესცქერის. ფაქტობრივად, ეკა აქ არ არის, ის სხვაგანაა, უფრო მაღლა, ცის ლაჟვარდებში დალივლივებს.

ჟურნალისტები ყველგან დაძვრებიან. შეკითხვებს სვამენ. პასუხები თითქმის ყველა კუნჭულში ერთნაირია: „იცით, მე დამპატიჟეს, მოსასმენად მოვედი, ამათთან თანამშრომლობას არ ვაპირებ“.

თუ ისე მოხვედი, თუ არც თანამშრომლობას აპირებ, რაღაზე მოხვედი, ტელევიზორში ვერ მოუსმენდი? ან კი რა არის აქ მოსასმენი? გიორგი გურგულიას მჭერმეტყველება თუ დავით მხეიძის მიეთ-მოეთი? პუბლიცისტი ვარო, აცხადებს მხეიძე დარბაზში, სცენაზე ასვლისა და სიტყვის თქმის უფლებას რატომ არ მაძლევთ, თქვენ ვინ ხართ, რა გიკეთებიათო? დიდი ბოდიში, მოდიო, ეძახის სცენიდან დავით მაღრაძე. ეს მიდის, სიტყვას სიტყვაზე ძლივს აბამს. ლანძღავს ევროპას ევროპიელების თვალწინ. ორგანიზატორებს მაზეც უზრუნიათ, საქართველოში მოღვაწე საზღვარგარეთელი სტუმრებიც მოუწვევიათ – „ენდიაის“ „ნაჩალნიკობა“, ელჩები და სხვები. ჰოდა, მხეიძეც უბერავს, ყველას ლანძღავს ზნაყი-ზნუყით და ჩუგოშვილსაც „ძირავს“ – როგორო, კაცო, რანაირადო, რა უფლებით უთიშავს პატრიარქს მიკროფონსაო?!

ეეეჰ... ემზარ კვიციანი რომ პატრიარქში აგერევა, ფურცლებს უნდა დაანებო თავი და ყუდროზე ჩამოჯდე ყვერების საფხანად. თქვენი არ ვიცი, მე კი სიბერისა შემეშინდა, ხომ შეიძლება, ერთხელაც ასევე დამემართოს? ხომ შეიძლება, მეც დაუკითხავად ავიჭრა სცენაზე და ათასნაირი სისულელე წამოვაწვინო? ხვდებიან, რომ დავით მხეიძე დაუკრეფავში გადადის, გიორგი გურგულია, ჯაბა ჯიშკარიანი და ვიღაცები გვერდში უდგებიან, ჩამოყვანა უნდათ, მაგრამ მხეიძე პუბლიკას ეკითხება: ხალხო, გავაგრძელო?! კი, კიიი, დიახ, გააგრძელე! – ისმის დარბაზიდან. ავოიე, უკვე გასაგებია, რა დონის კრებასთან გვაქვს საქმე.

ვიღაცა ამ შეკრებას ჩაძირულ „ლახანკას“ უწოდებს, ხოლო შეკრებილებს – ვირთხებს. სიმართლე გითხრათ, არ მსიამოვნებს, ამათ ვირთხებს რომ უწოდებენ, მაინც ნაცნობ-მეგობრები არიან არც თუ შორეული წარსულიდან. თუმცა თვითონ აცხადებენ, ნაცნობ-მეგობრობა გვკიდია, როცა საქმე ქვეყნის ინტერესებს ეხებაო. კაცო, ამათ ბიძინა ივანიშვილთან აღარ უნდათ მეგობრობა და მე ვინ ვარ?!

მოკლედ, „დაიცავი საქართველო„-ს შეკრებაზე ერთი ახალგაზრდა გამოდის, აქამომდე ტელევიზორში ვხედავდი ხოლმე – თბილისის საკრებულოს წევრი, ვატო შაქარიშვილი, რომელიც გუშინწინ გავიდა „ქართული ოცნებიდან“. ნუ, აი, ამ ქერა ახალგაზრდამ იკადრა, იმის დედა, რაააა... ისაო, „ქართული ოცნება„ მედროვე ჯალათების პარტიააო:

„ერთის მხრივ, ჩვენ გვყავს მოძალადე პოლიტიკური პარტია, რევანშსმყოწყურებული, მეორე მხრივ – მედროვე და ჯალათების ასპარეზად ქცეული „ქართული ოცნება“. სამწუხარო რეალობაა ესეც“.

ესენი ან ვერ გრძნობენ, ან კიდევ თავებს იტყუებენ, ან უბრალოდ გვაბოლებენ... ბიჭო, გუშინ რომ იქ იყავი და ტელევიზორით ტვინს მიბურღავდი: ო, რა კაია... ო, რა კაიაო, ახლა რეიზა უნდა დაგიჯერო – ო, რა ცუდიაო? გავიგე, რომ სირაქლემას შთამომავლები ხართ, თავები ქვიშაში გაქვთ წარგული და გგონიათ, უკანალი არ გიჩანთ, მაგრამ რომ გიჩანთ, რა გავაკეთო? სხვათა შორის, ამ შეკრების მსგავსი რაღაცის წევრებს ძაან მაგრად უჩანთ უკანალები. ადიან სცენაზე, ლაპარაკობენ, რაღაცას ამტკიცებენ, მაგრამ ვერ გაიგებთ, რის თქმა უნდათ, რა განზრახვა უდევთ გულებში. სხვათა შორის, შალვა ნათელაშვილი ისვრის სარწმუნო ინფორმაციას, ანუ ამტკიცებს, ამათ „მავნები“ აფინანსებენო. მეტიც, მისი თქმით, ეს არის ვერა-ვაკის სეპარატისტული დაჯგუფება, საკუთარი ქვეყნის სისხლით, მიწით და ლუკმით მოვაჭრე სოვდაგრების დაჯგუფება:

„ისინი გადაბარგდნენ სისხლისმწოველ ხაზარაძის დოლარებით სავსე მუთაქაზე, იქვე მილიონებით მათ ელოდებიან „მხედრიონელი“ მკვლელი მილიონრები – ზარალა, იგივე გიორგი რამიშვილი, ტილიკა – იგივე ლევან კაჭარავა, რიჟა – იგივე გიორგი კაპანაძე, აგროჰაბელი მხედრიონელი – აკაკი ახვლედიანი, „აჭარაბეთის“ მფლობელი – თემურ უგულავა, სიგარეტების კონტრაბანდისტი, „ტვ პირველის“ მფლობელი ჭუტა წერეთელი და სხვები“.

რა უნდა ვთქვა? თუ ეს სიმართლეა, მაშინ მაგარი სულელები ყოფილან ფულიანი ტიპები. ჯერ ერთი, ივანიშვილთან თავის გატოლება არ გამოუვათ, რადგან ამათი გაკეთებული არაფერი გვინახავს; მეორეც – ესენი არ არიან ის ტიპაჟები, ქართულ პოლიტიკაში რაიმე სახის ქარიზმა შემოიტანონ. თუ მხოლოდ ფულს დახარჯავენ, ეს ფული წყალში იქნება ჩაყრილი. რასაკვირველია, ამათ საკუთარი ტვინისა და გონების იმედი არ უნდა ჰქონდეთ, შეეცდებიან, ხალხი გამოიყვანონ ქუჩაში და ამ გზით აიძულონ ივანიშვილი, წავიდეს. არ გამოვა მაი ამბავი, ბიძიები და ბაბუებო – აგერ, შეხედეთ უკვე ჩატარებული გაუგებარი კრების ჩანაწერს ხელახლა, ვინც იქ იყო მისული, თითქმის ყველა ამთქნარებდა, თითქმის ყველას ეძინებოდა, თითქმის ყველას ეძინა. იცით, რატომ? როცა ადამიანებს არაფერი აქვთ სათქმელი, როცა წყალს ნაყავენ, ამ დროს იცის ხოლმე ძილმა მორევა.

აი, სანამ ამ სტატიის წერას მოვრჩები, კიდევ ირკვევა, რომ პოლიტიკაში თურმე ლევან ვასაძეც შემოდის. ამას ნამეტანი გაეწელა შემოსვლა, შემოდის და თან ვერ შემოდის. როგორც ჩანს, ხელსაყრელ მომენტს ელოდება, ვინმე ქიტესას ელოდება. თურმე ირაკლი ოქრუაშვილსაც გასჩენია ხვაშიადი პარტიის შექმნისა. ამას ჰქონდა, მაგრამ თავის დროზე მიხომ თავზე დაამხო. კობა დავითაშვილზეც უბნობენ, ახალ პარტიაზე ლაპარაკობსო. დავით უსუფაშვილი გახსოვთ? მაგისთვისაც შეუთავაზებიათ ეპიზოდური როლი, მაგრამ ვერ გაურკვევია, დათანხმდეს თუ არა და ასეთ განცხადებას აკეთებს:

„მისვლა და მოსმენა შემომთავაზა დათო მაღრაძემ, მივედი და მოვუსმინე. მოვუსმინე ყველას, ვინც ჩათვლის, რომ „ოცნება“ შესაცვლელია, მაგრამ არა „ნაცური“ რევანშით ან რუსული ზღაპრით“.

როგორც ხედავთ, თავისუფალი მსმენელი დავით უსუფაშვილი არც მწვადს წვავს, არც შამფურს. ის დაახლოებით იულიუს კეისრის პოზიციას ირჩევს – „მივედი, ვნახე, გავიმარჯვე“! ოღონდ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მხოლოდ „მივედი, ვნახე“-სთან.

აბა, რა გითხრათ, რით გაგახაროთ, ჩემო მკითხველებო... ჩემი დაკვირვებით, არაფერი გამოვა ამ წყლისმნაყველებისგან... დროა, საერთოდ შეეშვან ყალბ მჯილთაცემას და ყუდროზე ჩამოსხდნენ ყვერების საფხანად. ესენი არიან ძველი „როქები“ ახალი ნიღბებით... თუმცა ნიღბები გაცვეთილია.



გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

# „მფატრავი სანდრა“

## უკრაინულ მედიაში სანდრა რულოვსს რულოფსად მოიხსენიებენ და შავ ბაზარზე ადამიანის ორგანოების ვაჭრობის მონოპოლისტს უწოდებენ



(დასასრული. დასაწყისი იხ. „სგ“ N13)

„ოპერაცია ფილტვის“ შესახებ წერდა „ასავალ-დასავალი“ დან ზაზა დავითაია. ასევე ჩაერთნენ ჩემი მეგობრები და ფილტვის ოპერაციის იძულებით გაკეთება ვეღარ გაბედეს. (ვისაც გაუკეთეს დღეს ცოცხალი აღარ არის) თუმცა რუსთავში დამახვედრეს სპეციალურად ჩემთვის აშენებული ციხე – ციხეში. რომლის „დიზაინიც“ მისვლისთანავე დავწვი და დავლეწე. ამიტომ ზამთრის გატარებამ ნახევრად ღია კარში მომიწია. ერთი თვის შემდეგ უარი განვაცხადე ქიმიური პრეპარატების მიღებაზე, რადგან თერმომეტრზე ტემპერატურა 34



ქვემოთ მიფიქსირდებოდა და აგვისტოში – ვიყინებოდი. წნევა 45/30 ზეც მქონია და ვერაფრით მირეგულირებდნენ. ერთ-ერთმა ექიმმა მირჩია აღარ მიმეღო ქიმიური პრეპარატები რადგან არაფერი მჭირდა და მიზეზი რატომაც მომიგონეს აღნიშნული დაავადება მე უნდა მცოდნოდა..თინა მახარაძემ გააპროტესტა ჩემს მიერ პროგრამის მიტოვება „დოც+“ 55000 ევროთი ფინანსდება (ანუ მაგ თანხას თითო ადამიანზე თვლიდა) და დამემუქრა ორ თვეში, მკურნალობის იძულების წესით კანონს მიიღებენო და მაშინ კი ვასროლინე კუდით ქვა და ხურდად ფსიქიატრს ყოველ კვირას მიგზავნიდა არადა მათ მიერ დოზის გადამეტებით დანიშნული. პრეპარატის ანოტაციაში ფატალურ სავარაუდო შედეგთან ერთად ხანგრძლივი დროით ცენტრალური ნერვიული სისტემის დეზორგანიზებაც იყო ნახსენები (ცოლოსერონა).თერთმეტ პატიმარ ქალს „კოლექტიურად ამოუჩინეს“ ტუბი (ჩემს შემდეგ) თერთმეტივემ გადაამოწმა ადვოკატის დახმარებით და არცერთს არ აღმოაჩნდა. ასე, რომ ჩემს ბრძოლას მიშას და სანდრას სანატორიუმში უშედეგოდ არ ჩაუვლია. იძულებითი მკურნალობის დაკანონებას ვერ მოესწრნენ რადგან ორ თვეში ნაცმოძრაობაც დამარცხდა „ტუბის აღმოჩენა“ სარფიანი საქმე გახლდათ ნაცბანდისთვის იზოლაციაში აქცევდნენ დაუმორჩილებელ პატიმრებს, ათეთრებდნენ დიდ თანხას, სიცოცხლეს ართმევდნენ ახალგაზრდებს ვითომ მოურჩენელი დაავადების წყალობით, ორგანოებს აცლიდნენ და სად მიჰქონდათ დღემდე გამოუძიებელია... სამწუხაროდ, სააკაშვილის ხროვის მიერ ნაწამებ – გაუბედურებულ პატიმრებს, სანდრას სასიკვდილო ექსპერიმენტიც ემატებოდა რის შედეგადაც უამრავმა პატიმარმა დაასრულა სიცოცხლე სიკვდილის ანგელოზების (ბადრაგების)მეთვალყურეობის ქვეშ. რამოდენიმე დღის წინ სოციალური ქსელის საშუალებით ნინო ჯღარკავამ მიშა „მოიკითხა“ და შემაძრწუნებელი პოსტი გაავრცელა რომელსაც შემოკლებით გთავაზობთ-“ ესეც კინოაა შე ჩასაძაღლებელოო საკააშვილოო? თამაზ დადვანი.. ყაჩაღობაზე გაასამართლეს, უდანაშაულო იყო, ექსპერტიზები გააყალბეს, ბოლომდე სჯეროდა რომ სიმართლეს გაიტანდა, სულ მეუბნებოდა ციხე ვერ გამტეხავსო, თავს ნუ შეაწირავ მეთქი სულ ვარიგებდი, ვხედავდი შეუპოვარი ა პრინციპული იყო... არ ეპუებოდა არ უთმობდა...უზენაესის განაჩენის შემდეგ მშობლებმა დამირეკეს ძალიან ცუდად არის შედი ნახეო, რომ შევედი სავადმყოფოში იყო, დაბერებული 23 წლის, 50 წლისას გავდა, ფეხზე იდგა ძლივს, მთხოვა ჩემი შეყვარებულის სურათები დამრჩა საკანში ის წაიღონ იქიდან ჩემებმა, დაჟინებით მთხოვდა. რაღაც ტაბლეტებს მასმევდნენო, ბოლოს რომ დავუძლურდი აქ გდმომიყვანესო, მეორე დღეს შევედი, რეანიმაციაშია, ტუბერკულიოზი აქვს არ შეხვიდეო, ნიღაბი მოვითხოვე, არ მოგვცეს, მე და მეორე ადვოკატი, მაია დონაძე ვიყავით ერთად, ექსპერტიზისთვის მისი ხელმოწერა მჭირდებოდა, უნდა მენახა... არ ეგონათ მაინც რომ შევიდოდით რეანიმაციაში, გამიკვირდა ასე უცბათ როგორ მოხვდა იქ, კარი შევაღე არავინ იყო, „რენიმაცია“ იყო რკინის საწოლზე სასიკვდილოდ გადადებული პატიმრები... ხმაამოუღბლად, ექიმი ვნახე მისი, თვალები გაუფართოვდა იქ რა გინდოდათო, ვინ შეგიშვათო, ეს არის მეთქი თქვენი რეანიმაცია, მიხედეთ თეთრეული მაინც დუგეთ, წამალი მაინც დაალევინეთ მეთქი... მეორე დღეს დარეკეს ადვოკატთან, დილის ცხრა საათზე გარდაიცვალაო, ახლობლებს გააგებინეთო, მე ვერ ავღწერ იმ ტკივილს ... იმ ზარს, რომლის განხორციელებაც ჩვენ მოგვიწია... მერე... ის მახსოვს გვამს არ ატანდნენ, ხელის მოწერას თხოვდნენ ახლობელს რომ პრეტენზია არ ქონდათ, ისე არ არ ატანდნენ გვამს.. რაღაც საშინელი მარშუტკა იყო... ეს თაზო არ არისო, მესმოდა ყვირილი, შეცვლილი იყო... ნანა ლეჟავამ გადაცემაც გააკეთა, სადაც მოვყევით, რა იყო მათი სანაქებო ციხის რეანიმაცია... რაზეც დაგვიბარა რამდენიმე ხნის შემდეგ მაშინდელმა სამკურნალო დაწესებულების დირექტორმა და ადვოკატებს შეფარულად დაგვემუქრა... ალბათ ეს იმის ნახევარია რაც იქ განვიცადეთ და გადავიტანეთ ყველამ ერთად.“ – ეს ტაბლეტები სწორედ ის ქიმიური პრეპარატებია, რომელსაც დოზის გადაჭარბებით იძულებით ასმევდნენ ჯანმრთელ, უტეხ პატიმრებს, აბა ყველას ცემაში ხომ არ დახოცავდნენ, შემდეგ ორგანოებს ჯერ კიდევ თბილი სხეულიდან უღებდნენ და გამწარებულ პატრონს სასწრაფო წესით ხელს აწერინებდნენ, რომ პრეტენზია არ ჰქონდათ. ხო, რეანიმაციაშიც კი, ქალ პატიმრებსაც ღამით ფეხზე ბორკილით აბამდნენ. ათი ვერზილა, რომ გადგას თავზე, ნაოპერაციევი სად გაიქცევი?

მაგრამ ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ფსიქოლოგიური წნეხისთვის იყენებდნენ ამ ფაშისტურ საშუალებას.

არადა, ძნელი წარმოსადგენია, ტკივილი, ციხე, ოპერაციით გამოწვეული დისკომფორტი და ბორკილი. ნეტა სანდრამ მიშას თვალებში თუ ჩახედა, თუმცა მათი გული და თვალი რამ გაყო ერთი ვამპირის სისხლი უბუყბუყებს ორივეს.

საყურადღებოა ერთი ფაქტიც, რომელიც ჯერ ტუბის ექთანს „გამოვტყუე“ და შემდეგ პირადად გადავამოწმე. მოკლედ, სანდრას გახსნილ ოთხმოცდაჩვიდმეტადგილიან საავადმყოფოში ვიღაც ხომ უნდა დაწოლილიყო? მცირე რაოდენობის ადამიანების „დაგოიმებაც“ მოახერხეს, თუმცა უმრავლესობა უბინაო, სოციალურად დაუცველი ადამიანები იწვნენ, ღამით ისინი რვა საათზე უნდა დაბრუნებულიყვნენ შემდეგ ალაყაფის კარები იკეტებოდა. აჭმევდნენ დღეში სამჯერ. მედიკამენტს არ იღებდნენ, თუმცა მიღებას იქაური წესით ექთანი ესწრებოდა. დღისით გადიოდნენ ტერიტორიიდან თითქმის ყველა გარევაჭრობით იყო დაკავებული.



როგორც ზემოთ აღვნიშნე, ატიპური ტუბერკულიოზის ფორმა მკურნალობის სამწლიან კურსს ითვალისწინებდა.

აღნიშნულის შესახებ, რასაკვირველია, მედპერსონალიც საქმის ყურში იყო და ტექნიკური პერსონალიც. სანდრას ზეობის ხანაში მიღებული ფორმა იყო რამდენიმე ადამიანს ათასობით გასამრჯელო, დანარჩენებს კაპიკები, ჰოდა, სწორედ ექთანმა „გამანდო“ საიდუმლო, რომელიც შემდეგ გადავამოწმე და სხვა თანამშრომლებმაც დამიდასტურეს და სხვა უტყური ფაქტებიც მოვიპოვე...

დიახ, “ნულოვანი ტოლერანტობა”, სასამართლო და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან თავისუფლება აღკვეცილ მოქალაქეთა მიმართ “ნულოვანი პასუხისმგებლობის” ფონზე, პენიტენციალურ სისტემაში ჩამოყალიბდა სტრუქტურირებულ დანაშაულებრივ პროცესად, რომელიც, ფაქტიურად, ფიქციად იქცა საქართველოს კანონები ადამიანის წამების დაუშვებლობისა და სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. აღნიშნულს არაერთი პატიმარი თუ ყოფილი პატიმარი აპროტესტებდა თუმცა უშედეგოდ. სულხან მოლაშვილი ხშირად ინტერვიუს საშუალებით ამხელდა სააკაშვილის „ოჯახურ ბიზნესს“, ყვებოდა ადამიანთა მასობრივი წამების, პატიმართა გაუპატიურების და სხვა სისტემური დანაშაულის შესახებ. სულხანი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდა „ ციხეში გარდაცვლილ 25 წლის პატიმრებს გარეთ გაყვანილებს სხეულში აღარც ერთი ორგანო რომ აღარ ჰქონდათ, ეს თუ ახსოვთ?! ჩვენ გვეგონა, რომ მკვლელობის და ძალადობის ფაქტების დასამალად აკეთებდნენ



ამას. გაცილებით მეტ ბოროტებასთან გვქონდა საქმე, ორგანოებით ვაჭრობის სუნი ასდიოდა ამ ყველაფერს! ნარკოტრაფიკის ხელშეწყობა, იარაღით ვაჭრობა, ორგანოებით ვაჭრობა, ეს ყველაფერი სააკაშვილ-რულოვს-მერაბიშვილ-უგულავას და მათი ტანდემის კისერზეა. გული მაქვს გაგლეჯილი იმის გამო, რომ დღევანდელი უმრავლესობა ხმას ვერ იღებს და ვერც სათანადო საინფორმაციო კონტრპასუხებს ახორციელებს და ვერ ეფარება საკუთარ ლიდერს ისე, როგორც მას ეკადრება. მეორე მხრივ, თუკი ეს ასე გაგრძელდა, ვგრძნობ, რომ ამით სააკაშვილისნაირ პოლიტიკურ მონსტრებს საშუალება მიეცემათ, აქა-იქ მართლაც შექმნან დაძაბულობის და ნერვიულობის მომენტები”. სამწუხაროდ მოლაშვილის პროგნოზში გამართლდა, მონსტრები ფრიად გააქტიურებულები არიან... ყოფილი პატიმარი ალექსანდრე ახალკაცი, რომელიც „სასურველი შედეგის“ მისაღებად მორგში მიცვალებულზე ორი დღით დააბეს, არა ერთ ინტერვიუში სხვა მონსტრებთან ერთად სანდრასაც ამხელდა. რამოდენიმე დღის წინ მან ისევ გაიხსენა წყვდიადის დედოფალი – „სანდრა რულოვსის შავბნელი საქმიანობის შესახებ პროკურატურას პირადად შევთავაზე ოქროს მოწმის მიყვანა, მაგრამ თავი აარიდეს. ქალბატონი, რომელიც სისხლის



სამართლის დანაშაულს სჩადიოდა, დღეს საარჩევნო კამპანიაში არის ჩართული და „ოსანას“ უმღერის სამეგრელოს. ჩემი შეთავაზება პროკურატურისადმი მოწმის შესახებ ძალაში რჩება, მაგრამ ვინ მოინდომებს ამას. სად არის ე.წ. ნიბკა -პაჭკორია, რომელიც სისხლის ტბებს აყენებდა ციხეებში. დააკავეს თუ არა, იმავე დღეს გამოუშვეს გირაოს სანაცვლოდ ციხიდან“!...სანდრას შავბნელ საქმიანობას არაერთი პატიმრის წერილი მიეძღვნა. ფაქტია, რომ ნაცმონსტრები ტრანსპლანტაციის ცენტრის აშენებასაც გეგმავდნენ თუმცა ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლამ უზრუნველყო ცენტრის პროფილის შეცვლა. 2011 წლის ზაფხულში გიგი უგულავამ ტელევიზიით განაცხადა: რომ აღმაშენებლის ხეივანზე აშენდებოდა 200 საწოლიანი დიდი ტრანსპლანტაციის ცენტრი, რომელსაც ააშენებდნენ აზერბაიჯანელები და დაკომპლექტდებოდა აზერბაიჯანელი მედპერსონალით. ექიმმა მარინა ბერაძემ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა „ჩემთვის, როგორც ექიმისთვის, ეს ინფორმაცია იყო თავზარდამცემი. 200–საწოლიანი საავადმყოფოს აშენება საკმაოდ გააზრებული და მიზანმიმართული ჩანაფიქრია, რომელიც სერიოზულ მოგებაზეა გათვლილი. მსოფლიოს არცერთ ქვეყანას ამ სფეროსთან ასეთი მიდგომა არ აქვს. ადამიანი თუ სრულ ჭკუაზე ხარ, ასეთი რამ არ უნდა გაუკეთო შენს ქვეყანას?! აზერბაიჯანში ტრანსპლანტაციის პროგრამა არ არსებობს. მათ არ ჰყავთ სპეციალისტები, რომლებიც ტრანსპლანტაციის ოპერაციას ჩაატარებენ. ტრანსპლანტოლოგიას ახლავს თავისი უარყოფითი მხარე – შავი ბიზნესი, ორგანოებით ვაჭრობით ბიზნესი. მსოფლიოში ნარკოტიკებით და იარაღით ვაჭრობის შემდეგ, მესამე საფეხურზე ორგანოებით ვაჭრობა დგას. ეს საკმაოდ ძვირად ღირებული საქმიანობაა, რაშიც არა მხოლოდ სპეციალისტები არიან ჩართული, არამედ ბროკერები. ორგანოების ვაჭრობის შავ ბიზნესში ჩართული 150–200 სახელმწიფოა გამოვლენილი. ამ ბიზნესში ძირითადად განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები არიან, სოციალურად დაბალ ქვეყნებს ნედლეულის წყაროდ იყენებენ. ტრანსპლანტაციის დროს სარგებლობენ როგორც ცოცხალი ორგანიზმის ორგანოებით, ასევე გარდაცვლილი ადამიანის ორგანოებით.“ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა “უროლოგიის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო დირექტორის” არჩილ ჩხოტუას კომენტარიც „ ჩემი შეშფოთება მას შემდეგ გამძაფრდა, როდესაც გავიგე, რომ აზერბაიჯანში დიდი სკანდალი მოხდა. იქ ერთ-ერთ უნივერსიტეტში თურქი სპეციალისტების მიერ ხდებოდა არალეგალური ოპერაციების ჩატარება. თურქი სპეციალისტების მიმართ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე, რომელიც განიხილება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის დონეზე“...ასე, რომ ყოფილ მმართველ გუნდს გაჟღერებული ჰქონდა, რომ ტრანსპლანტოლოგია მათი ინტერესის ერთ-ერთი სფერო იყო და ვერც კრიმინალურს ხედავდნენ ვერაფერს. რადგან, ესეც მედიცინის ერთ-ერთი დარგი ყოფილა. იმ დაწყევლილ დროში როდესაც ტრანსპლანტოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტის“, პროფესორ გია თომაძის და პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის თემურ ჯანაშიას ახლო ნათესაური კავშირის შესახებ გავიგე „ღრმად და საფუძვლიანად ჩავფიქრდი“. ვინატრე, ჩემი ფიქრით მთავარი



პროკურატურაც დაინტერესებულიყო...ხელისუფლების შეცვლის შემდგომ წყვდიადის დედოფალს ბიზნესი, რომ არ ჩავარდნოდა უკრაინაში გადაინაცვლა და მყისვე მიიქცია იქაური მედიის ყურადღება. თუმცა უფრო „აქტუალური“ მიხეილი გახლდათ. აღსანიშნავია, რომ ფერშალი სანდრა 2016 წელს ვაშინგტონში გამართულ უკრაინის ფორუმში მონაწილეობდა, სადაც მან კონფლიქტის შემდგომ ჰუმანიტარული დახმარების საჭიროებაზე და ჯანდაცვის სისტემის გამოწვევებზე ისაუბრა. ფორუმი მაშინ უკრაინის პრეზიდენტმა – პეტრო პოროშენკომ დახურა. მანამდე უკ-



რაინულ მედიაში ვრცელდებოდა ინფორმაცია სანდრას შავ ბნელი მოღვაწეობის შესახებ. ასევე ხშირად ახსენებდნენ სანდრას მარჯვენა ხელს ალექსანდრე კვიტაშვილს აი რას წერდა უკრაინული მედია „2015 წელს ექიმი ტრანსპლანტოლოგების ჯგუფი სააკაშვილის მეუღლემ ჰოლანდიელმა სანდრა რულოვსმა კიევში ჩაიყვანა. სანდრა რულოვსი ჯანდაცვის მინისტრ ალექსანდრე კვიტაშვილსა და უკრაინული სამხედრო მაღალჩინოსნების ხელმძღვანელობას შეხვდა. ხოლო მის მიერ ჩამოყვანილმა ექიმემ ტრანსპლანტოლოგებმა უკრაინელ ექიმებს შეასწავლეს რთულ საველე პირობებში ორგანოების ტრანსპლანტაცია და ამისათვის საჭირო აპარატურის გამოყენება. მიხეილ სააკაშვილმა დაარწმუნა უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელი მუჟენკო წარმოდგენილი სქემის ეფექტურობაში რაზედაც პოროშენკოს თანხმობაც მიიღო.

სქემა ასეთია: დაჭრილ და ახლად მოკლული ჯარისკაცები ანტიტერორისტული ოპერაციის ზონიდან გამოყავს საქართველოდან ჩასულ სამხედროებს და ექიმებს, რომლებიც სააკაშვილმა ასეულობით ჩაიყვანა სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად და დაჭრილ ჯარისკაცებს ათავსებენ სპეციალიზირებულ ტრანსპორტში, რომლებშიც ევროპელი ექიმების მიერ მომზადებული ექიმები გზაშივე სხეულიდან უღებენ ორგანოებს, უფრო რთულ ოპერაციებს ხარკოვში და დრეპროპეტროვსკში განლაგებულ სტაციონარულ პუნქტებში აწარმოებენ, ასევე ყოუტუბე–ში გავრცელდა უკრაინის უშიშროების სამსახურის აწ უკვე ყოფილი თანამშრომლის ვიდეო მიმართვა, რომელიც სანდრა რულოვსს და მიხეილ სააკაშვილს „შავი ტრანსპლანტაციის“ კურირებაში ამხელს. „წინა წლის ნოემბრიდან ანტიტერორისტული ოპერაციის ზონაში ვიყავი გაგზავნილი. ხოლო დეკემბერში, ხელმძღვანელობის ბრძანებით, მე და კიდევ ორი თანმშრომელი სპეციალურ სამედიცინო ჯგუფს მიგვამაგრეს, რომელსაც „გადაუდებელი დახმარებისა და რეანიმაციის ჯგუფს“ უწოდებდნენ.ქ. კრამატორსკის ბაზაზე საკამოდ კარგი ორკვირიანი გადამზადება გავიარეთ, რის შემდეგაც მივიღეთ შეიარაღება, სამედიცინო მოწყობილობა, საჭირო მედიკამენტები და შევუერთდით მედიკოსთა ჯგუფს. ჩვენი მიზანი იყო საბრძოლო ხაზზე მედიკოსების დაცვა. პოლკოვნიკმა მიშენკომ აგვიხსნა, რომ ბევრ ჯარისკაცს სურს სოლიდური თანხის სანაცვლოდ გასცეს საკუთარი ორგანოები, მომაკვდავ ადამიანს ოჯახის შეწევნის დარდი აწუხებს და ეს საერთაშორისო პრაქტიკააო. მისგან ვიღებდი დაშიფრულ ინფორმაციას, თუ რომელი წერტილიდან უნდა წამოგვეყვანა დაჭრილი და დაღუპული მეომრები. ერთ–ერთი ჩვენი თანამშრომელი პასუხისმგებელი იყო სასიკვდილოდ დაჭრილი ჯარისკაცებისგან თანხმობის მიღებაზე. თითოეული მეომრისგან, რომლისგანაც ორგანოებს იღებდნენ, მე პრემიის სახით $170 მერიცხებოდა. დაჭრილებისგან სტაციონარულ ცენტრებში, იღებდნენ პრაქტიკულად ყველაფერს, ძვლებს, კანს და თვალებსაც კი. მე არ ვიცი, რამდენს უხდიდნენ დაღუპულთა ოჯახებს და უხდიდნენ თუ არა საერთოდ. იანვრიდან შემოგვიერთდა პროფესიონალი ჰოლანდიელი ტრანსპლანტოლოგი ელიზაბეტ დებრიუ, რომელმაც სავსებით შეცვალა ჩვენი მუშაობის სტილი და აიძულებდა მედიკოსებს ამოეღოთ ორგანოები, დაჭრილების ყოველგავრი თანხმობის გარეშე. უმეტეს შემთხვევაში თვითონ ასრულებდა მთელ სამუშაოს, შეეძლო 7–10 წუთში ამოეჭრა თირკმელები დაჭრილი ან დამწვარი ჯარისკაცისთვის და სპეცკონტეინერში მოეთავსებინა. ამ სპეცკონტეინერებს ჩვენ ვაგზავნიდით კრამატორკსში დაჭრილ მეომრებთან ერთად, რომელთა სხეული უფრო დეტალური დანაწევრებისთვის იყო გამოსადეგი. დებალცევოში იმდენი სამუშაო გვქონდა, კონტეინერებიც არ გვყოფნიდა. მახსოვს, თებერვლის დასაწყისში მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში ოცდასამი წყვილი თირკმელი, ღვიძლი და ელენთა გავაგზავნეთ ბაზაზე“. აღნიშნულ ფაქტების შესახებ უკრაინულ მედიაში უამრავი მასალა მოიპოვება! სანდრა რულოვს რულოფსად მოიხსენიებენ და შავ ბაზარზე ტრანსპლანტოლოგის მონოპოლისტს უწოდებენ. ასევე მისგან მართულ საქველმოქმედო ფონდ „სოცო“, რომელიც დაფუძნებელია რულოვსის მიერ სოროსის დაფინანსებით ევროპაში ცისფერთვალება უკრაინელი გასაშვილებელი ბავშვების ყველაზე მსხვილ მიმწოდებელად იხსენიებენ. ხოლო მისგან მართული „მშობლების“ფონდს „აბრალებენ“, რომ ბიოლოგიური იარაღის და რეკომბინირებული ვირუსის კვლევით არიან დაკავებულები.

ოდესის ერთ-ერთი ტელევიზიის ჟურნალისტმა რამოდენიმე წლის წინ, სანდრას „შავი ბიზნესის“ და კავშირების შესახებ საინტერესო ინფორმაციები მომაწოდა, მაგრამ სამწუხაროდ აღნიშნულ ინფორმაციის რეალიზების საშუალება არ მაქვს!

...„მფატრავი“ სანდრა ზუგდიდის ქუჩებში და სამეგრელოს სოფლებში ისეთი მწყაზარი ღიმილით დააბიჯებს სიკეთისა და სათნოების განსახიერება გეგონება. არადა „მთავარია პოლიტიკური ნება და ისე აჭიკჭიკდება დღესაც „ადგილებშენარჩუნებული“ მედპერსონალი სანდრას „ჰუმანური საქმიანობის“ შესახებ, შესაძლოა საზოგადოება დიდი ხანი ვერც გამოვიდეს შოკიდან. სანამ სამართალი დუმს, „მფატრავი“ სანდრა ზუგდიდში ამომრჩეველს აბოლებს და სოროსის დაფინანსებული პროგრამებით იმ ხალხის გულს იგებს ვისაც „მფატრავი“ სანდრას ავქალობის ამბავი ჯერ კიდევ არ გაუგია.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# ახალი ეროვნული მოძრაობა

**„საერთო გაზეთის“ და მწერალთა ეროვნული აკადემიის ინიციატივით ვიწყებთ დისკუსიას თემაზე „ახალი ეროვნული მოძრაობა ახალი საქართველოსთვის“, რომელშიც მონაწილეობას იღებენ მწერლები, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, პოლიტიკოსები, ექსპერტები.**

**ვახტანგ ხარჩილავა (მწერალი, „საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი):** ჩვენ ვიწყებთ ახალ რუბრიკას, რომლის სახელწოდებაა „ახალი ეროვნული მოძრაობა — ახალი საქართველოსთვის“. ამ რუბრიკის დაბადების იდეა გამიჩინა, ბატონი ბიძინა ივანიშვილის ბოლოდროინდელმა განცხადებებმა და ბოლოს მისმა ინტერვიუმ, მისმა ჩასვლამ ხიბულაში, ზვიად გამსახურდიას იუბილის ფართოდ აღნიშვნამ, განცხადებებმა, სადაც ის აფასებს განვლილ პერიოდს 90-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე. ხსენებულ ინტერვიუში ბატონმა ბიძინამ ვრცლად ისაუბრა თუ რა მოხდა, რა გავაკეთეთ და რა შეიძლება იყოს გამოსავალი ამ მდგომარეობიდან. საზოგადოება მუდმივად ისეთ პოლემიკაშია ჩართული, რომელიც სინამდვილეში მთავარი გზიდან გადაგვაცდენს ხოლმე, მთავარი განზე გვრჩება. ახლაც გაცხარებული ვსაუბრობთ იმაზე, ვინ გავიდა „ქართული ოცნებიდან“, ვინ



აპირებს კიდევ გასვლას, თითქოს ეს იყოს მთავარი. ეს საერთოდ არაფერ შუაშია და არც არაფერს ნიშნავს, რაზეც ახლა ნერვებს ვიშლით. 30 წელი გავლიეთ ასეთ დისკუსიებში, მთავარი ორიენტირი, რისკენაც უნდა აიღოს გეზი ქვეყანამ, განზე დაგვრჩა. ბატონმა ბიძინამ თქვა, ქართველებმა ჩვენ თვითონ დავანგრიეთ ჩვენი სახელმწიფო, კრიმინალებს ვამართინეთ ეს ქვეყანა და ასე მოვედით აქამდე. დღეს თუ ეს პროცესი არ შეჩერდა, საზოგადოება შეიძლება გამოთაყვანების გზას დაადგესო. მან კიდევ რბილად, ბოდიშის მოხდით, მორიდებით თქვა ეს, თორემ საზოგადოების ნაწილი უკვე მიხულია გამოთაყვანებამდე. განა ამის დასტური არ არის, 800.000 ადამიანი გრიგოლ ვაშაძეს, რუს პოლიტიკოსს, რუსეთის სპეცსამსახურების მაღალჩინოსანს რომ მისცემს ხმას. ეს ცხადყოფს, რომ ერში ძალზე სერიოზული პრობლემებია.

დავიწყოთ იქიდან, რა გვჭირს, რატომ გვჭირს და რატომ ვერ გამოვდივართ ამ მდგომარეობიდან. იმიტომ ვერ გამოვდივართ, რომ არ გაანალიზდა და არ მიეცა ზუსტი შეფასება განვლილ გზას მთლიანობაში. **ჩვენ ფრაგმენტულად ვსაუბრობთ, ვამბობთ, ნაცმოძრაობის ცხრაწლიანი რეჟიმიო და არაფერს ვამბობთ წინა ათ წელზე. რეჟიმი მარტო ცხრა წელი არ ყოფილა, 19 წელი ტრიალებდა ქვეყანაში ერთი და იგივე უბედურება. სააკაშვილი იყო შევარდნაძის რეჟიმის პირდაპირი მემკვიდრე** და გაგრძელება, სააკაშვილსა და მის გუნდს შევარდნაძის მმართველობის პერიოდშიც მაღალი თანამდებობები ეკავათ, ასე რომ, თავიდან ბოლომდე ერთნი იყვნენ. შევარდნაძეც სახელმწიფო გადატრიალების გზით მოვიდა ქვეყნის სათავეში და სააკაშვილიც, უბრალოდ მეორე შემთხვევაში შეიარაღებული დაპირისპირება არ ყოფილა და ახლა ვიღაცებს უნდათ კიდევ იმავე გზით მოვიდნენ ხელისუფლებაში. ეს იმიტომ ხდება, რომ არ მიეცა ზუსტი და ობიექტური შეფასება ამ ყველაფერს. დღეს ვინც ხელისუფლების შეცვლაზე ლაპარაკობს, მაღრაძეები იქნებიან თუ სხვები, 90-იან წლებში დაწყებული ყველა უბედურების მოთავეები და მონაწილეები არიან, მაგრამ დღეს მათ არ ერიდებათ საზოგადოების წინაშე გამოჩნდნენ და თქვან, ისევ ჩვენ უნდა ვიხსნათ ეს ქვეყანაო. ამას იმიტომ ბედავენ, რომ თავის დროზე გაუვიდათ და მერეც არ მოვიდა ძალა, რომელიც თავის სახელს დაარქმევდა ამ ყველაფერს.

მოდით, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რა მოხდა 90-იან წლებში. მე საკმაოდ კრიტიკული ვიყავი ზვიად გამსახურდიას მმართველობის მიმართ, თუნდაც მის საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებით. ამას არც ვმალავდი და მაშინაც ვწერდი, მაგრამ ეს არ ამართლებს იმას, რაც მერე მოხდა. ქართველი ხალხის ერთმა, თანაც საკმაოდ მრავალრიცხოვანმა ნაწილმა დაამხო, დაიპყრო საკუთარი ქვეყანა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, განდევნა დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება, ცუდი იყო თუ კარგი, არჩეული იყო ის ადამიანი. საუბედუროდ, ეს ყველაფერი იარაღის ძალით მოხდა. ქართველები საკუთარ სახელმწიფოს ყელში სწვდნენ და მოახრჩეს. მაშინ დაწყებული ნგრევის ექსტაზი არ განელებულა, დღემდე გრძელდება ინერციით, იმიტომ, რომ არ მიეცა შეფასება და არავინ დაუსვა წერტილი. ჩვენ ხშირად და ბევრს ვსაუბრობთ სააკაშვილის სისხლიან რეჟიმზე, ეს აბსოლუტურად სწორია, მაგრამ რატომ დაგვავიწყდა, რომ შევარდნაძის მმართველობის დროს გაცილებით მეტია მსხვერპლი, სრულიად უდანაშაულო ადამიანებს ქუჩებში ხვრეტავდნენ, ციხეში ყრიდნენ, უამრავი ადამიანია ქვეყნიდან გაქცეული. ზუსტად იმ დროს მოხდა ქვეყნის ეკონომიკის სრული გაჩანაგება, რასაც პრივატიზაცია ერქვა. ვეღარ ამოვედით ამ ნანგრევებიდან. ერი იმდენად მოუმზადებელი აღმოჩნდა ამ რთული, ჩახლართული პოლიტიკური პროცესებისთვის, რომ ხალხის ნაწილი ვერც გაერკვა სინამდვილეში რა ხდებოდა. ცუდი რომ იყო, ამას ხვდებოდა კიდეც, მაგრამ როდესაც გამოჩნდა ძალა, რომელიც ამბობდა უნდა დავანგრიოთ და ახალი ავაშენოთო, ხომ უნდა გვეკითხა, შენ თვითონ ვინ ხარ, ამას რომ ითხოვო. სააკაშვილი რომ ხარ, იგივე შევარდნაძე არ ხარ? ყველას არ ვაყენებ შეურაცხოფას, მაგრამ საზოგადოების დიდი ნაწილი ამ ავანტურისტებს ბრმად გაყვა უკან. „ვარდების რევოლუცია“ იყო წმინდა წყლის სახელმწიფო გადატრიალება. უბრალოდ შევარდნაძემ არ ისროლა, იმიტომ, რომ მას დიდი გამოცდილება ჰქონდა, იცოდა, რომ განწირული იყო, თორემ მეორე მხარე, ეს ე.წ. ვარდოსნები ყველაფერზე წამსვლელები იყვნენ. ამ ე.წ. ახალმა ძალამ გაითვალისწინა შევარდნაძის დაშვებული შეცდომები, კერძოდ, იგი მკაცრად რომ არ გაუსწორდა თავის გამოზრდილებს, რომლებიც მას დაუპირისპირდნენ, რაც გახდა კიდეც შევარდნაძის მარცხის მიზეზი. თვითონ რომ მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში, ყველა გაანადგურეს, ზოგი ფიზიკურად, ზოგი ეკონომიკურად მოსპეს, ციხეები გაავსეს, ხშირ შემთხვევაში უდანაშაულო ადამიანებით. მილიონები, მილიარდები მოხიკეს, სად არის ეს ფული, რატომ არავინ კითხულობს?!



მე თუ მკითხავთ, 2012 წელს „ქართულმა ოცნებამ“ და ქართველმა ხალხმა ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით, მარტო სააკაშვილის რეჟიმი კი არ დაამარცხა, შევარდნაძე-სააკაშვილის მმართველობის 19-წლიანი პერიოდი დაასრულა. მე ვარ 2012 წლის პროცესების ძალიან ახლო, შიგნით მხილველი, ვიცი, როგორ აქეზებდნენ ბიძინა ივანიშვილს, რა არჩევნები, ერთი დაიძახეთ და ხალხი გარეთ გამოვა, ამათ ერთ დღეში გავფერთხავთო. ბატონი ბიძინა უარობდა, ამან შეიძლება ის ძველი უბედურებები გამოიწვიოს, საქართველოში სისხლისღვრა ატყდესო. აქედან მოდიოდა ის კოჰაბიტაციაც, რამაც მერე სხვა ფორმა მიიღო. ყოველ შემთხვევაში, ბიძინა ივანიშვილმა მოახერხა, რომ შვიდი წლის განმავლობაში ქვეყანაში არ მომხდარა ისეთი მკვეთრი დაპირისპირებები. ვისაც ჰგონია, რომ ნაცმოძრაობის დამარცხება და სააკაშვილის ქვეყნიდან განდევნა ადვილი საქმე იყო, ძალიან ღრმად სცდება იმიტომ, რომ მათ უკან იდგა უზარმაზარი ფინანსები და ასე ვთქვათ, საერთაშორისო თანამეგობრობის უზარმაზარი ძალა, რომლებიც დღემდე პატრონობენ ნაცებს. ეს ყველაფერი პიროვნულად სააკაშვილის მიმართ სიმპათია კი არ არის, მათ უზარმაზარი ფინანსური კავშირები ჰქონდათ ნაცებთან, უზარმაზარი ფული ტრიალებდა ამათი მეშვეობით, **ბიძინა ივანიშვილმა თავის ბოლო გამოსვლაში თქვა ის, რასაც მისგან ვითხოვდით, თქვა, რომ ქვეყანა აი, ამ საინფორმაციო საშუალებებით, იგივე „რუსთავი-2“-ით ეროვნულ უსაფრთხოებას დაემუქრა. უკვე ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება დადგა ეჭვქვეშ და ეს თუ ასე გაგრძელდა, საზოგადოების გამოთაყვანებას გამოიწვევსო.** აქ საინტერესო საზოგადოების გარკვეული ნაწილის რეაქციაა, რომელიც ბიძინა ივანიშვილის ამ განცხადებას მოყვა, აქამდე ოპოზიცია იქნებოდა ეს, ექსპერტები თუ ანალიტიკოსები მას აკრიტიკებდნენ, მაგრამ მაინც „ლაითად“, ახლა უცებ შეშლილად გამოაცხადეს ივანიშვილი და ზუსტად იმ ფრაზებითა და სიტყვებით დაუწყეს ლანძღვა, როგორც ზვიად გამსახურდიას ლანძღავდნენ.ე.ი. როგორც კი ეროვნულობისკენ გადაიხარა ეს ადამიანი, პოლიტიკას ვგულისხმობ, თორემ ის სულ ქვეყნის საქმეს ემსახურებოდა და ამას ვინც ვერ ხედავს, უმადური ადამიანია, მწვავე თავდასხმის სამიზნე გახდა. ბატონი ბიძინა შეიძლება არ ლაპარაკობდა, მაგრამ საქმით ხომ აკეთებდა და ისევ ჩვენი საზოგადოების მინუსია, როდესაც ისმის კითხვა, მე რა გამიკეთა ბიძინა ივანიშვილმაო. ქვეყანას რომ გაუკეთა ეს შენთვის არაფერს ნიშნავს? გამოდის, შენ თვითონ არ გრძნობ და მიიჩნევ თავს ამ ქვეყნის მოქალაქედ, თორემ როგორ არ გაგიკეთა, სამი მილიარდი დაახარჯა ამ კაცმა ქვეყანას. ამას რომ ვერ ამჩნევენ, იმიტომაც ვთქვი, რომ საზოგა-



# ახალი საქართველოსთვის

დოების გამოთაყვანება საზეზეა. ეს არ არის ბიძინა ივანიშვილის აღმოჩენა, ან ბოლო მოვლენებისა და პერიოდის გამოძახილი, ამაზე წერდა ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა, უფრო ადრე პერიოდს აღარ ვეხები, ვწერდით და ვწერთ ჩვენ, რომ რაღაც გვჭირს. ეს რაღაც არის ის, რომ სამშობლო არ გვიყვარს, არ ვიცით რას ჰქვია სამშობლოს სიყვარული. სიყვარული ეს არის პასუხისმგებლობა პირველ რიგში იმის მიმართ, ვინც გიყვარს.

დღეს ამ ე.წ. ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს რომ ვუსმენ, ერთ რამეში ვრწმუნდები, საერთოდ არ აინტერესებთ, რა დაემართება ამ ქვეყანას, რა მოხდება ხვალ, მხოლოდ საკუთარი თავი სურთ იხილონ ხელისუფლებაში, ჰქონდეთ ძალაუფლება, რომ საკუთარი პოლიტიკური ინტერესები გაინაღდონ. სამწუხაროდ, საზოგადოება ჯერჯერობით ვერ შედგა, ვერ მოხერხდა იმის განხორციელება, რაზეც წერდა ქართული მწერლობა მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნეში. მწერლობა ემსახურებოდა ერის, ადამიანების მოქალაქეებად აღზრდას, ეს იყო მთავარი მიზანი. მერე იყო 70-წლიანი წყვეტა კომუნისტური მმართველობის პერიოდის, იქიდან მაინც მოსდევს გარკვეული უარყოფითი, მაგრამ 90-იანი წლების დასაწყისში ამ მხრივ ხდება კატასტროფა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის სათავეში მოვიდა ეროვნული ხელისუფლება, პირველი ვისაც შეუტიეს, ეს იყო ქართული მწერლობა. ეს ზვიად გამსახურდიას მითითებით არ ხდებოდა, მაგრამ ვიღაც მართავდა ამ პროცესს და შეტევის პირველი სამიზნე იყო მწერლობა, რომელიც საბოლოოდ გაანადგურეს, მოიშორეს. დღეს რომ ვამბობთ, საზოგადოება არ ვარგაო, ვის უნდა აღეზარდა ეს საზოგადოება? კინო არაო, თეატრი არაო, მწერლობა არაო, ყველაფერ ამას ჩაენაცვლნენ ე.წ. პოლიტიკოსები. მათ ჩაბარდა ქვეყანა. მათ მოირგეს ერის სულიერი მამების როლი; თუმცა ბევრმა მათგანმა წერა-კითხვაც კი არ იცის ხეირიანად. ამის საწინააღმდეგო რაღაც რომ თქვა ბიძინა ივანიშვილმა და იქვე ისიც რომ დაამატა, ჩვენ უნდა გავიხსენოთ ჩვენი ისტორია, უნდა გავიხსენოთ, ძველი კულტურის ერი რომ ვართ, ხომ ნახეთ, ლანძღვაგინების რა ღვარცოფი წამოვიდა მისი მისამართით. ფაქტია, **ბიძინა ივანიშვილმა დაინახა პრობლემა და იქვე შემოგვთავაზა ფრაგმენტი იმ პროექტისა, რომელიც როგორც ჩანს, გაცილებით ფართო და მასშტაბურია, თუმცა ამის შესახებ ის ჯერჯერობით ვრცლად არ ლაპარაკობს, თუმცა რაც ითქვა, ისიც სრულიად საკმარისია, რომ დავასკვნათ: ბიძინა ივანიშვილი იწყებს ახალ ეროვნულ მოძრაობას ახალი საქართველოსთვის.** მწერლობა იქნება თუ შემოქმედებითი ინტელიგენცია, მას უნდა დავეხმაროთ იმაში, რომ ეს ქვეყნის გადარჩენისკენ მიმართული მოძრაობა სწორი გზით განვითარდეს.

ერი ქმნის თავის კონსტიტუციას, მე შარმანაშვილის დაწერილ და კობახიძის მიერ ჩასწორებულ კონსტიტუციაზე არ ვლაპარაკობ. ერი თავისი არსებობის მანძილზე ქმნის საკუთარ კონსტიტუციას, რომელსაც ეყრდნობა მისი სულიერი ფასეულობები და ღირებულებები. მისი იდენტობა, ჩვენს შემთხვევაში, მთლიანად არის მოშლილი ეს კონსტიტუცია, რასაც დარწმუნებული ვარ, შეგნებულად აკეთებენ. უყურეთ იმ „პოპულარულ" სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებს", მთელი ფილმის განმავლობაში მამაკაცის სარცხვინელის სახელს გაჰყვირიან და, ხან სხვის დედას აგინებენ, ხან თავისას. თქვენ გგონიათ, ეს შემთხვევით ხდება? ამაში უხდიან მთელ „შემოქმედებით" კოლექტივს „რუსთავი-2"-ის ჩათვლით ფულს და ეს იმიტომ ხდება, რომ რაზეც იდგა ჩვენი ეროვნული იდენტობა, ის მოთხარონ და მოშალონ. ნიკა გვარამიას ეს გაუთავებელი ბილწსიტყვაობა, ესეც ეროვნული ღირებულებების განადგურებისკენ არის მიმართული. არასწორად, ყალბად გაგებული დემოკრატია რა უბედურებადაც გვექცა, ალბათ ყველა ხვდება, სიტყვის თავისუფლების ნიღაბქვეშ ხდება ეროვნული ცნობიერების განადგურება, რაც ერის გენოციდის ტოლფასია. ბიძინა ივანიშვილმა რომ თქვა, შევეცდები ეს პროცესი შევაჩეროთო, ატყდა ერთი ამბავი, რას ჰქვია შეაჩეროს, არანორმალურია ეს კაცი, არ მოუსმინოთ და არ დაუჯეროთო.

როგორც ვთქვი, ზუსტად ასე დაესივნენ ზვიად გამსახურდიას — ხან გიჟი უძახეს, ხან დიქტატორი და მანამ არ მოისვენეს სანამ მთელი ქვეყანა არ დაგვამხეს თავზე.

**მერაბ შათირიშვილი (მწერალი):** ბიძინა ივანიშვილის გამოსვლამ ააფუთფუთა ეს „ფასიანი პატრიოტები", რადგან მათ ეროვნული ფასეულობების გაგონებაზე ალერგია ემართებათ. რა ეპითეტებითაც „შეამკეს" ბატონი ბიძინა: თურმე მოხუცდა და პატარა ბავშვივითაა, იმითაა გამოწვეული, რომ მოაკლდათ პატივისცემა.

ამ ყველაფერმა 90-იანი წლების დასაწყისი გამახსენა, იმ დროიდან ვისმენთ ამ შეურაცხმყოფელ ეპითეტებს, თანაც იმავე ხალხისგან, და თუ მაშინ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებისკენ იყვნენ აპელირებული, ახლა სხვა იარაღით არიან აღჭურვილი. ისე, მნიშვნელობა არ აქვს სისხლის ღვრით დაუპირისპირდები ხელისუფლებას და ანტისახელმწიფოებრივ პოზიციას დაიჭერ თუ არეულობის პროვოცირებას მოახდენ, ქვეყანა ორივე შემთხვევაში წინ ვერ წავა. ბიძინა ივანიშვილის ბოლო განცხადება შექმნილი რეალობითაა გამოწვეული. ქვეყანაში მართლაც არის ეროვნული ფასეულობების ნაკლებობა. ერი გამოთაყვანებისკენ მიდის, რასაც ხელს უწყობს, როგორც გარე, ისე შიდა ბნელი ძალები.



მე იმ საზოგადოების გაერთიანებაზე ვოცნებობ, რომლის წარმომადგენლად ჩემ თავსაც ვთვლი. ქვეყანაში საკმაოდ არიან საღად, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანები და მინდა, რომ გავერთიანდეთ. ვიცი, ჩემსავით ბევრი ფიქრობს. როგორც კი გააჟღერა ბიძინა ივანიშვილმა, რომ მოიხატება სამების ტაძარი, რომლის აშენებაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის, მავანნი მაშინვე აყვირდნენ: წინასაარჩევნო განცხადებაა, რომ როგორმე მოიგონ საპარლამენტო არჩევნებიო. ხიბულაში რომ ჩავიდა ბატონი ბიძინა და გააკეთა განცხადება, რომლიდანაც გამოჩნდა, რომ პოლიტიკურად უფრო ეროვნული ფასეულობების და ღირებულებებისკენ გადაიხარა, მაშინვე დაუწყეს ქვების სროლა — თურმე ნაგვიანევი ყოფილა. თქვე კაი ხალხო, სავლე გადაიქცა პავლედ. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც განვლილი ცხოვრების რომელიმე ეტაპზე შეცდომა არ მოსვლოდეს და მერე მიმხვდარიყოს, რომ უკეთესია სამების მოხატვა, ვიდრე მისი დანგრევა. მთავარია, ადამიანმა სიკეთეზე იფიქროს და ის ამას დღეს გააკეთებს თუ ხვალ, დიდი მნიშვნელობა არ აქვს. გუშინ რატომ არ მოიფიქრეო, ამას რომ ვუკიჟინებთ, ეს არის უბედურება. არჩევნებს რომ უკავშირებთ სიკეთის ქმნას, თითქმის ყოველ წელსაა არჩევნები და რა ქნას ბიძინა ივანიშვილმა, აღარაფერი აკეთოს ვინმემ ამომრჩევლის რომ მოსყიდვად არ ჩაუთვალოს?

ხელისუფლების სისუსტე ვახსენე და რას ვგულისხმობ ამაში, მოგახსენებთ: როცა მე არ ვცვლი ისეთ ხელისუფლებას, რომელიც ნგრევის მაგივრად აშენებს, ეს ხელისუფლება ხომ უნდა მიხვდეს, რომ ჩემთან და ჩემნაირად მოაზროვნე ადამიანებთან უნდა ჰქონდეს კომუნიკაცია. რატომ დაინგრა ქართული მწერლობა, მხატვართა კავშირი? კომუნისტების მმართველობის პერიოდში, რომელსაც სასტიკ რეჟიმად მოიხსენიებენ, ცნობილი მწერლები, შოლოხოვი იქნებოდა, გალაკტიონ ტაბიძე თუ სხვები, როგორ იყვნენ დაფასებული. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ კომუნისტებმა იცოდნენ მწერლობის ფასი. საერთოდ, ყველაფერი ხელისუფლების ნებისგან მოდის. თუ არ იქნება მწერლობა და კულტურა აყვავებული, თუკი განათლებას არ უშვებ, რომ წინ წავიდეს, **როცა ხელისუფლება ვერ ხვდება, რომ ლელთ ღუნიას უნდა მოუსმინოს და დაეყრდნოს და არა ის, რომ ამოტივტივებული, ღრუბლიდან გამოძერწილი პოეტები გახადო საზოგადოების წინამძღოლებად, ერის გამოთაყვანება წუღარ გიკვირს.** მაღრაძე და მაღრაძიზმი თვითონ ხელისუფლებებმა, „ქართული ოცნების" წინამორბედებმა შექმნეს და გამოჭედეს. ჩვენი ძალა ძლიერი მაშინ იქნება, როცა დავინახავთ, რომ საზოგადოებას, მის ჯანსაღ ნაწილს, არაგაფეტიშებულებს, როგორიც, დავუშვათ, ეს მაღრაძეებია, ხელისუფლება მოგვისმენს. როცა სახელმწიფო აზროვნება და პოზიციები არ გვაქვს, ჯანსაღმა საზოგადოებამ საზოგადოებრივი პოზიციები უნდა დაიკავოს. ეს არ ნიშნავს, რომ ის ყოველთვის დითირამბებს უძღვნის ხელისუფლებას, ეს იმის მიმანიშნებელია, რომ უფრთხილდება საზოგადოებრივ აზრს, არ უნდა არეულობა და საზოგადოების დისკრედიტირება. ბიძინა ივანიშვილის ბოლო განცხადებების საწინააღმდეგო, ანუ საპირწონე ხდება 13 აპრილს ფილარმონიის დარბაზში მოწყობილი შეკრება, იმიტომ, რომ ეს იყო აბსოლუტურად ანტისახელმწიფოებრივი, ვითომდა საზოგადოებრივი შეკრება. ჩვენ ხომ კარგად ვიცით, პოლიტიკური ველი ისეა შევსებული, რომ 2020 წლამდე არავითარი ახალი პოლიტიკური ტალღა არ წამოვა. ეს ნიშნავს, რომ უკვე ქმნი ისეთ რაღაცას, რითაც დააზარალებ ხელისუფლებას, ამიტომ საზოგადოებრივი ეგიდის სახელით, არ გაქვს უფლება დააზარალო. აი, ამის უფლება რომ მიანიჭეს 90-იან წლებში ადამიანებმა და ადამიანთა ჯგუფებმა თავიანთ თავს, მოხდა სისხლისღვრის პროვოცირება და მათ ამ ცოდვაში დიდი წვლილი მიუძღვით, რადგან საზოგადოებამ, აქეთაც და იქითაც, ყოველთვის მიიღო ამაში მონაწილეობა.

2012 წელს საზოგადოებამ აქტიურად მიიღო მონაწილეობა ხელისუფლების შეცვლაში, რომ ეს პროცესი უმტკივნეულოდ განხორციელებულიყო. ამიტომ დღეს კიდევ არეულობას რომ არ ჰქონდეს ადგილი, პროცესებში საზოგადოება უნდა ჩაერთოს. მე არეულობად მიმაჩნია ახლადდაწყებული საზოგადოებრივი მოძრაობა, თუნდაც მაღრაძის ნოვაციები, რაც გამოიწვევს ხელისუფლების დაზარალებას და ვაითუ, „ნაცმოძრაობა" მოვიდეს ხელისუფლებაში, ეს ჩემთვის იქნება სახელმწიფო გადატრიალების ტოლფასი. ნაცმოძრაობას არ გამოუსყიდია ის ცოდვები, რომელიც მან ცხრა წლის მანძილზე ჩაიდინა. ის განცხადებები ხორცშეხმული არ უნდა გახდეს, რომ ერთი წავიდეს და მერე გადავწყვიტოთ, ვინ მოვა, ეს არის კატასტროფული ფორმულირება, დამაზიანებელია სახელმწიფოებრივად. ხელისუფლება რომ გქვია, ხომ უნდა დაინახო, რომ არის საზოგადოების სხვა, ჯანსაღი ნაწილი, რომელიც ასე არ ფიქრობს, პირადად მე და ჩემი მეგობრები ასე ნამდვილად არ ვფიქრობთ. **ჩვენ 2019 წლის 4 მაისს, 16 საათზე პროფკავშირების სასახლეში გვაქვს მოაზროვნე საზოგადოების შეკრება, სადაც აუცილებლად მოვიწვევთ ირაკლი ღარიბაშვილს,** რაც იმას არ ნიშნავს, რომ მას და ხელისუფლებას ვემხრობით, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენელს იმიტომ ვიწვევთ, რომ ვუთხრათ სიმართლე. თუ ხელისუფლება საზოგადოების ჯანსაღი ნაწილისგან სიმართლეს მოისმენს, ის ხელისუფლება, ფაქტობრივად, გადალახავს ბევრ პრობლემას და, იმედი გვაქვს, დანაპირებსაც შეასრულებს. სიმართლის თქმა და მოსმენა არ ნიშნავს მტრულ განწყობას, ჩვენი პოზიცია არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ვაზარალებთ და თუკი ყურებს დაიხშობენ, თვალებს დაიბრმავებენ და ვერ გაარჩევენ, საზოგადოებაში ვინ ვინ არის, ეს მათი საქმეა. ილია ჭავჭავაძე ლელთ ღუნიას უსმენდა, მთელი მისი შემოქმედებიდან, პირადად მე, ყველაზე თბილ და დამოკიდებულებად ამ გლეხისადმი ურთიერთობა შემომრჩა გონებაში. **ერისკაცობა იმას არ ნიშნავს მაინც და მაინც ქამარ-ხანჯლით, ჩოხა-ახალუხით დადიოდე. ერის კაცად ის ითვლება, ვინც სამშობლოზე ფიქრობს და არ აზიანებს მას.**



8 გვ. →

# ახალი ეროვნული მოძრაობა

← 7 გვ.

ქართული მწერლობა, ეს ინსტიტუცია მოსპეს და ხელმოცარულები აღმოვჩნდით. კინემატოგრაფიაში, მხატვრობაში, კულტურის ნებისმიერ დარგში არის გარღვევა. ეს ტკივილი ცალკე ხომ საკმარისზე მეტია და კიდევ რაღაც საზოგადოებრივი ჯგუფები რომ იქმნება და ხელისუფლება ვერ გაარჩევს, სად აიღოს ვერტიკალი და რომელ საზოგადოებას დაეყრდნოს. ჩემამდე არ დადის, ხელისუფლება რას ეყრდნობა და რას უნდა დაეყრდნოს, დღემდე ვერ დავინახე „ქართული ოცნება" საზოგადოებაში ეძებდეს ჯანსაღ ძალას. ზუსტად მცდარი გზით რომ მიდიოდნენ და ეგონათ, ჯანსაღ ძალას ეყრდნობოდნენ, აი, ამ „ჯანსაღმა" ძალამ 13 აპრილს ფილარმონიაში გამართა აბსოლუტურად ანტისახელმწიფოებრივი შეკრება. დღეს რომ ამბობენ, ჩვენი გუნდიო, ის მართლაც იყო საზოგადოების უზარმაზარი, მოაზროვნე და შემდგარი ადამიანების ნაკრები მთელი საქართველოდან. 4 მაისს სწორედ ეს ხალხი იქნება შეკრებილი დედაქალაქიდან თუ რეგიონებიდან, „ქართული ოცნების" წარმომადგენლები, რომლებმაც 2012 წლის გამარჯვებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს.

ეს არ იყო მარტო 9-წლიან რეჟიმთან ბრძოლა, ეს იყო 19-წლიან რეჟიმთან ბრძოლა და გამარჯვების შენარჩუნებას სხვა ძალა და შემართება უნდოდა და არა კოჰაბიტაციები, რაღაცა ძალიან ჰუმანური გადმოპორტირებები და ა.შ. 2020 წლის არჩევნებისთვის საზოგადოების ნაწილმა, ვისაც პასუხისმგებლობა აქვს და მონაწილეობა აქვს მიღებული 2012 წლის უდიდეს გამარჯვებაში, 4 მაისიდან შეიძლება დაიწყოს ერის, ასე ვთქვათ, სწორ გზაზე სვლა. ვფიქრობთ, 2012 წლის ბრძოლა არ დასრულებულა, 2020 წელს უნდა დამთავრდეს რვა წლის წინათ წმოწყებული ბრძოლა. ამის ხელშეწყობა რომ მოხდეს, რეგიონებში მაქვს კონტაქტები, მათ შორის, კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან, იმ აქტივთან, იმ მომხრეებთან, რომლებმაც 2012 წელს „ქართულ ოცნებას" დაუჭირეს მხარი. სხვათა შორის, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურშიც დავირაზმეთ. არც გაგვიხმაურებია. 44 მოკრძალებული ოფისი გვქონდა რეგიონებში და ჩვენი გასაკეთებელი გავაკეთეთ. დღეს რასაც უკიჟინებენ „ქართულ ოცნებას", უპირისპირდებიან მურუსიძის თუ პარტიის ახალი ფრთის გამო. რაღაც გარკვეული პრეტენზიები, რაც „ქართული ოცნების" მიმართ არის, ნამდვილად საფუძვლიანია, მაგრამ ეს პრეტენზიები ხელისუფლების მიმართ პოლიტიკურ წინააღმდეგობასა და ბრძოლაში კი არ უნდა გადავიტანოთ, როგორც ეს მაღრაძემ და მისმა „ფასიანმა", „პატრიოტული" იდეების მქონე ადამიანებმა გააკეთეს. მათ ეს უნდათ პოლიტიკურ ბრძოლაში გადაზარდონ და ამით ვის დააზიანებენ? ისევ სახელმწიფოს. არმოწონების არგუმენტი „ქართულ ოცნებასთან" იგივე გვაქვს, მაგრამ კარგად გაიგოს ყველამ, ჩვენ ამ ბრძოლას არ გადავიტანთ ხელისუფლების წინააღმდეგ, ანუ სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში. ამას პოლიტიკურ საფუძველს არ მივცემთ, არეულობა რომ არ შემოვიტანოთ, არ დავაზარალოთ ხელისუფლება, 2012 წლის მონაპოვარს გავუფრთხილდეთ და ნაციონალები არ დავაბრუნოთ. ამას თუ ხელისუფლება არ შეისმენს, გარწმუნებთ, ჩვენ უკვე უძლური აღმოვჩნდებით საზოგადოებასთან, რომელიც ჩვენ მოგვყვება და ისინი უცებ გადაიქაჩებიან იმ ანტისახელმწიფოებრივ ჯგუფებში რეგიონებშიც და ცენტრშიც, რომლებსაც ესენი ახლა ქმნიან. ის კონტინგენტი, რომელიც ამ 30 წლის მანძილზე წყლიდან ყოველთვის მშრალად გამოდიოდნენ, მუდმივად საკუთარ თავზე რომ მუშაობდნენ საზოგადოების სახელით. ჩვენ, საზოგადოების ნაწილი უნდა შევებრძოლოთ ამას და ეს ბრძოლა დედაქალაქიდან უნდა დაიწყოს. ამას 90-იან წლებში რომ არ შევებრძოლეთ, ძალიან დავაშავეთ და მკაცრადაც დავისაჯეთ. თუ ახლა ამას არ შევებრძოლეთ, მკაცრად არ დავუპირისპირდით, თუ ქართულ საზოგადოებაში მაღრაძიზმი, ანუ ყვარყვარიზმი არ დავამარცხეთ, ქვეყანა დაიღუპება. ეს არის ხალხის წინააღმდეგ მიმართული ქმედება, საზოგადოების დისკრედიტაცია.

სახელმწიფო ხალხია, ჩვენ გვეკუთვნის, ჩვენი სახელმწიფოებრივი პოზიცია ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებასთან უნდა ვიყოთ დიალოგის უნისონში. ჩვენ ხომ არაფერს ვითხოვთ, არც ვინმეს ვამუნათებთ, რომ სამშობლო გვიყვარს. ჩვენ არ ვართ ის ხალხი, რომელთაც თავის მოსაწონებლად აქვს, რომ თურმე გადატრიალების რეჟიმში რამდენიმე ხელისუფლება შეცვალეს. ჩვენ ვერ შევადარებთ ეკლესიების დამანგრეველ სააკაშვილს ბიძინა ივანიშვილს, რომელიც აღმაშენებელია. გარდა პოლიტიკისა, ივანიშვილი უზარმაზარ ქველმოქმედებას ეწევა და მას ხალხი უნდა გაუფრთხილდეს.

**ბუბა ხოტივარი (კინორეჟისორი):** არავითარი ილუზია არ მქონდა, რომ ადვილად გაკეთდებოდა ყველაფერი. იმდენად ჩამორჩენილი და უზნეო ხალხი გავხდით, რომ კიდევ კარგად არის











ჩვენი საქმე. ძალიან მიხარია, რომ ქვეყანაში არის ხალხი, რომელიც იცავს ბიძინა ივანიშვილს, პირდაპირ ვამბობ, მე ვიცავ კაცს, რომელიც იცავს საქართველოს. რაც შეეხება მეორე მხარეს, ისინი საქართველოს რომ ანგრევენ, ეს აშკარა და მარტივი მისახვედრია. ახლა არის საჭირო „ქართულმა ოცნებამ", რომელმაც ძალიან შეიცვალა ფერი, გაწმინდოს თავისი რიგები მათგან, რომლებიც სრულებითაც არ არიან „ოცნება", ისინი უნდა იყოს გამოძევებული, რათა პარტია არ დაზარალდეს. ამიტომ ძალიან რთული მომენტის წინაშე ვდგავართ, მაგრამ მე ვიცი ხალხის განწყობა, რომელიც ამ ბოლო თვეებში არის მკვეთრად ბიძინას მხარეს. იგივე ახალგაზრდობა ავიღოთ, საპრეზიდენტო არჩევნებზე არც კინოსტუდიიდან და არც ჩემი ეზოდან და სამეგობროდან არავინ წავიდა, მაგრამ როგორც კი დადგა საშიშროება, რომ შეიძლება ვაშაძე გამხდარიყო პრეზიდენტი, ბიჭები თვითონვე დაირაზმნენ, წავიდნენ და ხმა მისცეს სახელისუფლებო კანდიდატს. ქართველი ადამიანი გადამწყვეტ მომენტში ყოველთვის გონივრულ, სახელმწიფოებრივ ნაბიჯს დგამს. დღევანდელ ოპოზიციაში რა არის კარგი, სხვადასხვა ჯოგია, ერთმანეთის მტრები, რომლებიც ერთად ვერ მოძოვენ. ღმერთმა არ ქნას ეგენი გაერთიანდნენ, თუ გაერთიანდნენ და გაიმარჯვეს, მერე ერთმანეთს დაუწყებენ ომს და დაანგრევენ ქვეყანას. იქ სადაც არიან ნათელაშვილები და სხვა მსგავსი ტიპები, ეგენი ერთმანეთში ვერ მოილაპარაკებენ, მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ თუ ექნებათ „თანხმობა", მოდი, ის ჩამოვაგდოთ და მერე გავიყოთ საქართველოო. როგორც ადრე იყო, ჯერ გამსახურდია, ან შევარდნაძე მოვიშოროთ და მერე ვნახოთო

მივესალმები ბატონი ბიძინას იმ განცხადებასაც, რომ ქართული კინო აღორძინდეს, უამრავმა ახლობელმა დამირეკა, ყველას ძალიან გავიხარდა, რადგან წლების განმავლობაში ველოდებოდით ამას. **სამწუხაროდ, „ქართული ოცნებაც" აზიანებდა ქართულ კინოს, ვგულისხმობ, კვირიკაშვილებსა და სხვა დანარჩენებს. ერთადერთი ირაკლი ღარიბაშვილი დაგვიდგა გვერდით, წავიდა თუ არა ის პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან, კვირიკაშვილმა მოხრჩობა დაგვიწყო.** კვირიკაშვილი არის ქართული კინოს ისეთივე მკვლელი, როგორიც სააკაშვილი იყო, ამას გეუბნებით როგორც პროფესიონალი. გიღიმიან, გიცინიან, გეუბნებიან ქართული კინო მიყვარსო და ამ დროს ყველაფერს აკეთებენ, რომ გაანადგურონ. წლების განმავლობაში რომ არ დამგარიყვნენ ერთად, ქართული კინოს უხუცესები, საშუალო თაობა და ახალგაზრდები, ძველი კინოსტუდიის ტერიტორია უკვე მთლიანად გაყიდული იქნებოდა და კორპუსები იქნებოდა მიჯრით ჩამდგარი. ვიღაცა ჩინოვნიკი წაიღებდა ნახევარ მილიარდს და დაიკარგებოდა, ასეთი „დაკარგულები" უკვე გვყავს. ელდარ შენგელაია, მერაბ კოკოჩაშვილი, მიშა კობახიძე, თქვენი მონა-მორჩილი და კიდევ სხვა რეჟისორები შევხვდით პატრიარქს, ფეხებში ჩავუვარდით სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ავუხსენით ვითარება და დახმარება ვთხოვეთ. შეგვპირდა დახმარებას, მისმა ჩარევამ შეაჩერა პროცესი, მაგრამ ცოტა ხნით. კვირიკაშვილი რომ არ მოეხსნათ, ჩათვალეთ, რომ ძველი კინოსტუდიის ტერიტორიაზეც ის საშინელება იქნებოდა, რაც დიღმის მასივშია, ქვის ჯუნგლებად რომ აქციეს მწვანე ოაზისი და ქუმსიშვილი ისე დაიკარგებოდა, ველარავინ იპოვნიდა. გვეკითხებიან, რად გინდათ ეგ ტერიტორიებიო, რად გვინდა და პავილიონები უნდა გავაშენოთ, კინოქალაქი უნდა ავაშენოთ. წლების განმავლობაში ვთხოვდით ხელისუფლებას დახმარებოდნენ ქართულ კინოს, ჩვენთან არ არსებობს კინოკომერცია. საერთოდ კომერციული კინო უარყოფითი მოვლენაა მთელ მსოფლიოში, იმიტომ, რომ მას უნდა ფული. ვერც გაამტყუნებ, არ უნდა ებრძოლო, იყოს კომერციული ფილმებიც და ფული შემოიტანოს, მაგრამ სახელმწიფომ შენი ეროვნული ინტერესები უნდა გაატარო ადამიანების აღზრდის საკითხში, რაც ზუსტად კინოსა და მწერლობის საშუალებით ხდება. კინო დიდი ძალაა, მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული ყოველ დღე მატულობს მის მიმართ ინტერესი, ყველგან და ყველა უყურებს კინოს, დაწყებული 2–3 წლის ბავშვებიდან და ყველას თავისი კინო უყვარს. არის ასეთი შესანიშნავი გამოთქმა, თუ შენ საკუთარ ჯარს არ შეინახავ, უცხო

# ახალი საქართველოსთვის







ქვეყნის, ოკუპანტი ჯარის შენახვა დაგჭირდება. ჩვენს სერიალებს რომ არ ვაკეთებთ, იმიტომ წალეკა ტელევიზიები მდარე უცხოურმა სერიალებმა. სააკაშვილზე აღარაფერს ვამბობ, ის საერთოდ ყველაფერს ანგრევდა და ჩაგრეცხავთო გაიძახოდა.

სახელმწიფოში არ შეიძლება იყოს მარტო სახელმწიფო კინო ან მარტო კომერციული, ორივე უნდა იყოს, ხოლო შენ უნდა გაატარო შენი პოლიტიკა. **მე და მერაბ კოკოჩაშვილი წლების განმავლობაში ვხვდებოდით მინისტრებს და ვეხვეწებოდით, მოგვეცით საშუალება, გამოყავით დაფინანსება, რომ წელიწადში ერთი ათწუთიანი მულტფილმი მაინც გადავიღოთ, „წუნა და წრუწუნას“ მსგავსი, ვაჟა-ფშაველას, გურამ დოჩანაშვილის და სხვა მწერლების, თუნდაც გურამ პეტრიაშვილის ზღაპრებზე, რაღაც ეროვნული, ქართული, სიტყვით გვეთანხმებოდნენ, საქმით არაფერი კეთდებოდა.** მთელ მსოფლიოში, კენიასა და მოზამბიკშიც კი იღებენ საბავშვო ფილმებს, ასევე მოზარდებისთვის, ვთქვათ, 13 წლიდან 14-15 წლის ასაკისთვის, ზუსტად მაგ დროს ყალიბდება ადამიანი, როცა ჯერ კარგად არ იცის ვინ არის დედა, მამა, ოჯახი, მტერი, მოყვარე და ის ასეთმა კინომ უნდა ჩამოაყალიბოს. ერთი საბავშვო ფილმი არ გადაგვაღებინეს. ბატონი ბიძინას ქართული კინოს აღორძინებათან დაკავშირებული განცხადების შემდეგ იქნება არაპროფესიონალებისა და უნიჭოების შემოსევა, მოინდომებენ წამოტივტივებას და თავის წარმოჩენას, იმიტომ, რომ დღემდე ყველანაირად უშლიან ხელს უკეთესი ძალების, ნიჭიერი პროფესიონალების მოძიებას.

მე პატივს ვცემ ბიძინა ივანიშვილის და მიმაჩნია, რომ ის არის საქართველოს გადამრჩენელი იმ ხალხთან ერთად, ვინც მას მართლა დაუდგა გვერდით. ახლა არის საჭირო ამ კაცის იმ საზოგადოებასთან ერთად დგომა, რომელიც მას გაუგებს. პოლტიკაში ღალატი ჩვეულებრივ ამბად ითვლება, მთელ მსოფლიოში ასეა, ყველა ერთმანეთს ღალატობს, სტალინის და ბერიას დროსაც ასე იყო, ამერიკაშიც და ყველგან. პოლიტიკა არის ღალატის ხელოვნება, ზუსტად უნდა იცოდე როდის უღალატო შენ პატრონს, მაშინ მიდიხარ წინ. ჩვენთანაც ასეა, ამიტომ ძალიანაც ნუ შევიშლებით ჭკუიდან, ეს ცუდი, მაგრამ ბუნებრივი პროცესია. თუ ხარ ჭკვიანი, ჯანმრთელი და ისტერიულად არ აღიქვამ მტრის ნაბიჯებს, მაშინ გადარჩები. თუ დაუწყებ მორალზე ლაპარაკს, ქირქილს როგორ არ სცხვენიაო, ამ არ გრცხვენიათი პოლიტიკა არ კეთდება. ხომ ხედავ, არ სცხვენიათ, ერთმანეთის დაუძინებელი მტრები დღეს უცებ გაერთიანდნენ, ამის მიზეზი ან ბრძანებაა იქიდან, საიდანაც ესენი იმართებიან, იქ მოილაპარაკეს ერთმანეთში, ანდა სატანისგან არის მათი ეს მთლიანობა. ამიტომ ვისაც გვიყვარს საქართველო, ყველა ერთად უნდა დავუდგეთ გვერდით ბიძინა ივანიშვილს. მე უკვე ისეთ ასაკში ვარ, არც დირექტორობა მინდა, არც დეპუტატობა, მხოლოდ ის მინდა, ხანდახან რაღაც ფილმები გადავიღო. მინდა ჩემი სამშობლო გადარჩეს, არ გადარჩება თუკი არასწორი გზით ივლის, ღალატისა და ღალატის პატიების გზებით ივლის. როგორ შეიძლება ამდენი რევოლუციის „შემოქმედები“ კიდევ გამოდიოდნენ და ტლიკინებდნენ, გამსახურდია ჩამოაგდო, შევარდნაძე ჩამოაგდო, ვითომ სააკაშვილიც მაგან ჩამოაგდო და ახლაც იგივე უნდა. გარდა იმისა, რომ რევოლუციურ სცენარზე გადადიან, წყნარ სიტუაციაში საბოტაჟს ეწევიან, რომ ქვეყანა არ განვითარდეს, შეიქმნას დაძაბულობა და კრიზისი. პირდაპირ ღია ეთერით მიდის მოწოდებები, ინტერნეტში დევს ის სქემები ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული, როგორ ამხობდნენ ხელისუფლებებს, ასე რომ, ადგილობრივი „პროტესტანტების“ ქმედებებში ჩემთვის ახალი არაფერია. ბიძინა ივანიშვილი ჭკვიანი კაცია, იცის მოწინააღმდეგეს როდის დაარტყას, სამი თვის წინ რომ გამოსულიყო ამ განცხადებით, ნაადრევი იქნებოდა. მას ეგეთი მეთოდი აქვს, ბოლომდე უნდა გამოამჟღავნებინოს კონკრეტულ პერსონას თავი. ვიღაცები ყველამ რომ დაინახა რეალობაში, ბიძინამ მერე გააკეთა ასე ვთქვათ, კომენტარი, თორემ მანამდე რომ ეთქვა, საზოგადოებას შეიძლება არასწორად გაეგო, მათ შორის, მეც. მე პოლიტიკა არ ვიცი, არ არის ჩემი საქმე, მაგრამ ვიცი კინო, პოლტიკაშიც ისეა, როგორც კინოდრამატურგიაში. ჩვენ ხომ იმ სცენარის მიხედვით ვათამაშებთ მსახიობს, რომელსაც ჩვენ თვითონ ვქმნით. ასე ქმნის ვიღაც სცენარს კრემლში, ან ვაშინგტონში, ანდა ჯოჯოხეთში, ეს ყველაფერი სცენარიო. გადასარევად აქვს ნათქვამი ჭაბუა ამირეჯიბს, ერთი კაცის მოფიქრებულია ეს ყველაფერიო. ჩვენ პირველ რიგში ხალხს უნდა გავაგებინოთ, როგორც მან საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში თვითონვე გაიგო, რომ არ არის ეს ოპოზიცია ის ძალა, რომ ვერ მოვერიოთ. თუ მაგათ ჩვენ დაგვამარცხეს, მაშინ ღირსები ვართ, იმიტომ, რომ ეგენი არ არიან ღირსეული, წესიერი ძალა, „დვარნიაშკები“ არიან და არ უნდა შემოვათრიოთ პოლიტიკაშიც ისევე, როგორც სახლში.

**ავთანდილ არაბული, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:** მე ვფიქრობ, დასაცავია „ქართული ოცნების“ ამოცანები და იდეალები.

ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ არ დასრულებულა პროცესი და თუ 2012 წელს დაიწყო, შუა გზაზე არც მე უნდა მივატოვო, არც თქვენ უნდა მოიტოვოთ და არც არავინ არ უნდა მივატოვოთ, უპირველეს ყოვლისა, იმათ სასარგებლოდ, ვინც „ქართულ ოცნებაში“ მოკალათდა და სინამდვილეში, სხვა ღირებულებებს უჭერს მხარს.

რა პოზიცია უჭირავს ბიძინა ივანიშვილს?

მე სრულიად განსხვავებულად მინდა შევხედო საკითხს. აქ საინტერესო მოსაზრებები მოვისმინეთ, რაც კიდევ ერთხელ გვიმყარებს მოსაზრებას, რომ **ბიძინა ივანიშვილი არის „ქართული ოცნება“ და ის არის ჩვენთან დღესაც. მე ვფიქრობ, ის პირველი ადამიანი გახლავთ, ვინც მერაბ კოსტავას არაჩვეულებრივი ფორმულა გაიმეორა: „გიყვარდეთ ეროვნული მოძრაობა თქვენში და არა თქვენი თავი ეროვნულ მოძრაობაშიო“.**



ეს ჩემთვის უდიდესი ფასეულობაა, ძალიან ღრმად ნაფიქრი პოზიციაა და პირდაპირ გვეუბნება: თქვენი თავი კი ნუ მოგწონთ ამ პროცესში, საკუთარი მისწრაფებებიდან და ამბიციებიდან კი ნუ ამოდიხართ, არამედ იმ ინტერესებიდან, რომელიც ქვეყანას აქვს და ეს იდეალები გიყვარდეთ თქვენშიო.



მინდა გითხრათ, რომ 2010 წლამდე, რაც მომზადდა განათლების სფეროში, კულტურის, მეცნიერების მიმართულებით, უნივერსიტეტები, სკოლა, მწერლობა, ყველა მიმართულებით არსებობდა ხედვა, რომელიც, რეალურად, მას სახელმძღვანელოდ უნდა გაეხადა.

საარჩევნო პროგრამაში, თუ გახსოვთ, შეიკვეცა ყველაფერი და მე უნდა ვთქვა, ბევრი რამ, რასაც ნაციონალებმა ბოლო ვერ მოუღეს, იგივე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მეცნიერებაში, განათლებაში, კულტურაში ჩვენ პოზიციები დაგვაკარგინა და დაგვათმობინა „ოცნების“ ხელისუფლებამ, თითქოსდა ჩვენ ოპონენტები ვყოფილიყავით. სინამდვილეში, ნებისმიერი ხელისუფლების რეალური ძალა არის ქვეყნის ინტელიგენცია. ამას კრიტიკულად ვამბობ და ვისაც უნდა, ეწყინოს — მათ ინტელიგენცია განზე გასწიეს.

ამას წინათ ბატონმა ბიძინამ ახსენა ბატონი ივანე კიღურაძე. ეს ადამიანი იყო იდეალური შემთხვევა პარლამენტში. ის უკმაყოფილო წავიდა, რამდენადაც ვიცი. ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს. ახლა ასეთი რეალობაა: ჩვენ და თავად „ქართულმა ოცნებამ“ უნდა დავიბრუნოთ „ქართული ოცნების“ ძველი აქტივი, ის ხალხი, ვისაც აქვს ჯანსაღი ხედვა და აზრი.

განათლების ახალი პროცესი იწყება.

ყველანი კარგად ვხედავთ, კონსულტანტები და იმ იდეის წარმმართველები, რომლებიც ახლა არიან წინ წამოწეული, არიან ის ადამიანები, რომელთა დამსახურებაც არის თავად განათლების სისტემის დანგრევა. უნივერსიტეტების, აკადემიის სისტემის დანგრევა, სკოლების განადგურება — ვის იდეებზეც იდგა მთელი ეს ნგრევა და ვინც შემოიტანა ეს ლიბერალური განათლების პოლიტიკა, ახლა ისევ ისინი არიან სახეები. თუნდაც სიმონ ჯანაშია. მაგრამ, რატომ? თუკი ვამბობთ, რომ იმ რეფორმებმა უარყოფითი შედეგები გამოიღო, მაშინ დაუძახეთ იმ ხალხს, რომლებსაც აქვთ განსხვავებული ხედვა. ამ ხალხისთვის რომ მოესმინათ, ამდენ ფასეულ რამეს არ დავკარგავდით, არადა, სწორედ ასეთ ფასეულობებზე უნდა ვიყოთ ორიენტირებულნი.

10 გვ. →

# ახალი ეროვნული მოძრაობა ახალი საქართველოსთვის

← 9 გვ.

**რადგან ორი პოლიტიკური ძალაა გამოკვეთილი, ყოველგვარი გათიშვა და გასვლა „ქართული ოცნებიდან" მმართველ ძალას ასუსტებს, ამიტომაც ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი „ქართული ოცნება" და თუ ვინმეს ჩვენეული „ქართული ოცნება" არ ეპიტნავება ხელისუფლებაში, ისინი გავიდნენ „ქართული ოცნებიდან". ზოგიერთი გავიდა კიდევაც და ბევრი კიდევაც გავა, ალბათ.**

უნდა ვთქვათ, გადავყვევით სახელმწიფო ენის კანონის მიღებას. ეს იყო პარლამენტში ორწელიწადნახევრიანი ბრძოლა, თუმცა უკვე გატანილი კანონის მერე, ორი წლის განმავლობაში არ დაამტკიცა კვირიკაშვილმა დეპარტამენტი. ორი წლის მერე ისეთი დეპარტამენტი შექმნა, რომელშიც წარმოუდგენელია რაიმე სასიკეთოს გაკეთება.

სხვათა შორის, მაშინ ირაკლი ღარიბაშვილის მხარდაჭერა რომ არ ყოფილიყო, ალბათ, შეუძლებელი იქნებოდა ამ კანონის მიღება, ისეთი ძალები ეწინააღმდეგებოდნენ ამ საქმეს.

**გური ოტობაია, მწერალი:** ერთი წლის წინათ ჩვენ განვახორციელეთ პროექტი. ეს პროექტი წარდგენილი გვქონდა მეცნიერებათა აკადემიაში. „კოლხური კულტურის აღორძინების" ფონდზე მაქვს საუბარი. ამ ფონდმა შეადგინა კოლხური პოეზიის ანთოლოგია, ლაზური პოეზიის ანთოლოგია, სვანური პოეზიის და საკუთრივ, ქართული პოეზიის ანთოლოგიები.

წარდგინება გვქონდა მეცნიერებათა აკადემიაში და ეს იყო უნიკალური პროექტი, მაგრამ ვერ მოვახერხეთ, ამ პროექტის განხორციელება ეროვნული კულტურის სამინისტროს ფინანსებით, ანუ იმ სახსრებით, რომლებიც გამოყოფილია სწორედ მსგავსი პროექტებისთვის.

ჩვენ მოვიპოვეთ სახსრები ქართული კულტურის გულშემატკივარი ხალხისგან. გამოცემები მომზადდა სოლიდური სახით, რომ მონაწილეობა მიეღო ამ გამოცემებს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა-დათვალიერებაზე, სადაც ქართული მხარე იყო მასპინძელი და უნდა წარედგინა კულტურა, ლიტერატურა, რაც კი ფასეული იყო და არის ჩვენ გარშემო. აღმოჩნდა, რომ ამ გამოფენა-ბაზრობაზე ჩვენ ვერ მივიღეთ მონაწილეობა. რადგან ევროპელი მკითხველისთვის ნაწარმოებები უნდა წარგვედგინა უცხოურ ენაზე. ამ ანთოლოგიების თარგმნას რამდენიმე წელი არ ეყოფა, თუმცა ეს არ იყო მთავარი. ჩვენ ინტერესი უნდა გამოგვეწვია, რათა დაინტერესებულიყვნენ, რომ მომდევნო ეტაპზე შექმნილიყო ერთგვარი სარეკლამო ფორმა, რომ ჩვენ გვქონდა ინგლისურენოვანი ანოტაციები ამ წიგნების. ჩემი რომანებიც მქონდა მზად, მაგრამ, რატომღაც, ყველა ის ავტორი წარადგინეს ფრანკფურტში, რომლებიც ანტიეროვნულ, ანტიადამიანურ, ანტიკაცობრიულ ფასეულობებს ემსახურებდნენ.



აქედან გამომდინარე, ბიძინა ივანიშვილმა კინემატოგრაფზე რომ გაამახვილა ყურადღება, მხოლოდ კინო არ უგულისხმია. კინოსთან ერთად იგულისხმება ფერწერა, მუსიკა, ცეკვა, მწერლობა, ხელოვნების ყველა დარგი, რომელიც დღეს დისკრიმინირებულია.

რა ხდება დღეს მწერალთა სახლში?

ეს სახლი კულტურის სამინისტროს მიერ მწერალთა სახლად არის გამოცხადებული, სადაც მწერლობა არის ჯაყოს ხიზანის მდგომარეობაში — მიდიან მწერალთა კავშირის თავმჯდომარეები ორშაბათობით პირველი საათიდან სამ საათამდე და მორჩა.

დღეს უკვე დადგა აუცილებლობა, რომ მწერლობა აქტიურად ჩაერთოს სოციალურ პროექტებში.

სამწუხაროდ, მწერლობა დღემდე მონოპოლიზირებულია ნაციონალების მიერ.

კი, ბატონო, მოხდა ამ ადამიანების ლუსტრაცია, რაც ნიშნავს, რომ ბრძოლა უფრო ხილული და შედარებით იოლია.

ცხონებულ ფრიდონ თოდუასთან ვმეგობრობდი. მას უყვარდა თქმა: სანამ ავადმყოფობა თავს არ გამოავლენს, მანამდე მასთან ბრძოლა შეუძლებელიაო.

ნაციონალური სიმსივნე გადატყდა „ოცნების" სხეულის ხარჯზე. „ნაცმოძრაობამ" უამრავი „სხეული" ჩაითრია, მოხდა გარიგებები. თუმცა დარჩა შეურყვნელი ნაწილი და როცა გარკვეულია ყველაფერი, დიაგნოზი დასმულია, „მკურნალობის" მეთოდების მოძებნა ძნელი აღარაა.

უნდა მოგახსენოთ, რომ 2020 წლის არჩევნებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება — ყარსის ხელშეკრულების ვადები იწურება. ზუსტად აქ გახდება აჭარა ვაჭრობის თემა. და ამას ყურადღება უნდა მივაქციოთ.

ბოლოს დავძენ: ჩვენი საზოგადოება არ არის ადეკვატური ბატონი ბიძინას ნამოქმედარზე. გაოგნებული ვარ. მე გახლდით ბიძინა ივანიშვილის დედის გასვენებაში. ასეთ დროს ადამიანი მეორე ადამიანის მიმართ მორიდებულია, მაგრამ მაინც გავბედე და ვუთხარი: დედათქვენი გარდაცვლილი არ არის, ასეთი შვილი რომ გაგზარდათ-მეთქი და მხარზე ვეამბორე. კოლხურად. ცნობილია, რომ მარჯვენა მხარზე ღვთის ანგელოზი აზის ადამიანს, მარცხნივ — ბოროტი. როცა მარცხენაზე ეამბორები, ნიშნავს, რომ ბოროტი განაძევე მისგან და ღვთის ანგელოზის ძალა გადაეცი. ეს ყველაფერი მადლიერების ნიშნად.

ყველასთვის ცნობილია, რომ ეკატერინე ჭავჭავაძემ სამეგრელოში გააშენა დადიანების ბაღი, მაგრამ ბატონმა ბიძინამ გააკეთა საოცარი რამ — ათასამდე ჯიშის უნიკალური ხე განადგურების პირას რომ იყო, გადაარჩინა, იმ ტერიტორიებზე ხიდები აღადგინა, ელექტროენერგიის ბოძები, გზები, ოჯახები ამოასუნთქა ეკონომიურად. კეთდება უნიკალური დენდროლოგიური პარკი.

შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ სამეგრელოში უხსოვარ დროში გვიმრის ხეები ყოფილა.

რამდენადაც ვიცი, გვიმრის ხეები ზელანდიაში ახლაცაა, მაგრამ, თურმე, უხსოვარ დროში სამეგრელოში ყოფილა კუნძული, ტერიტორია, რომელსაც დღეს დიდგვიმარონი ჰქვია, იქ ყოფილა გვიმრის ხეები, რომლებიც ხანძარს გადაუბუგავს. არ ვიცი, როგორ მივაწვდინო ხმა, რომ ბატონმა ბიძინამ ზელანდიიდან გვიმრის ხე ჩამოიტანოს, რომ აღდგეს ის კოლხეთი, ის საქართველო, რომელიც იყო ოდესღაც ამაღლებული, სწორუპოვარი, თავისი თავის პატრონი.

ჩემი ლექსიდან „გვიმარა" სტრიქონს მოვიტან:

ვით სულს ესატკივარა,
ვით გულს ესამძიმარა,
სად დაჰკარგე ის სიმაღლე,
სალოცავო გვიმარა…
სალოცავი ხე იყავი,.
დაჩიავდი, გვიმარა?!

გამოგვიჩნდა კაცი, რომელიც საქმეს აკეთებს, აღორძინებს სოფელს, ფლორას, ფაუნას, ბუნებას, როგორც ადრე, უფლის წესით და კანონით რომ დადიოდი, არივდარიეს ყველაფერი, კაცი და ქალი ველარ გაირჩევა, უკვე, წესი და კანონი მოშლილია და რომელი უფალი ამოგვიდგება მხარში?!

ამ ყველაფრის მშველელად მიმაჩნია ბიძინა ივანიშვილი და მიმსახუროს ქართულ საქმეში.

**კობა არაბული, მწერალი, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ეთნოლოგი:** არის საუბარი, მესამე ძალა, მესამე ენერგია უნდა მოვიდეს ერშიო. საქმე იმაშია, რომ **მესამე ძალა არის იდეა. ადამიანი იდეას რომ მოგაწვდის, ეს იდეა რომ რეალური და გადამრჩენელი იქნება და ჩაავლებ, გამოიყენებ, გაჰყვები ამ იდეას, ეს არის სწორედ მესამე ძალა, ამიტომ უნდა ვთქვა: მესამე ძალა თავად არის ბიძინა ივანიშვილი.**

ახლა რაც კინოსთან დაკავშირებით თქვა მან, ეს იყო მართლაც რევოლუციური. კინო გახლავთ ქართული კულტურის ენერგეტიკული ცენტრი. ის მოიცავდა მუსიკას, მხატვრობას, მწერლობას. კინოს წარმოებაში ჩართული იყვნენ თავად მწერლები, რეჟისორები, სცენარისტები და ა. შ. ეს იყო სქემა, ორგანიზაცია, რომელიც დაანგრიეს და რატომ გააკეთეს ეს? იმიტომ, რომ მსოფლიომ არ გაიგოს და ვერ გაიგოს, ვინ ვართ ჩვენ.

მოხდა ქართული კულტურისა და მეცნიერების ოკუპაცია.

კარგად მახსოვს, ნაციონალების დროს უნივერსიტეტში დატრიალებული ტრაგედია. ერთი დღე და ღამე მეც დავდექი ჩემი უნივერსიტეტის დასაცავად. ალყა ჰქონდა შემორტყმული ჩვენს ცოდნის ტაძარს, ხოლო მძევლად



იყო ჩვენი ღირსეული პროფესურა. ორი დღე-ღამე ეს ხალხი, ფაქტობრივად, ტყვეობაში იყვნენ.

უნივერსიტეტიდან გამოაძევეს ნაციონალებმა უნივერსიტეტი და შეიყვანეს ხლისტები…

ყველამ ვიცით, ერთ საშინელ ჟამს ეგვიპტეში ჰიქსოსები გამოჩნდნენ. უცხო, გაურკვეველი წარმომავლობის ტომი, ერთი საუკუნე დაჰყვეს ეგვიპტეში. ჩვენს წელთ აღრიცხვამდე მე-13 ს-ის ამბავს გიყვებით. იმათ არ მოუტანიათ ეგვიპტისთვის იმდენი მსხვერპლი და განადგურება, იმდენი კულტურული ნგრევა, როგორიც ახსოვს საქართველოს „ნაცმოძრაობის" 9-წლიანი მმართველობიდან. ჰიქსოსები ეგვიპტურ კულტურას არ ანგრევდნენ, მეტიც, მონღოლები არ ანგრევდნენ კულტურულ ძეგლებს საქართველოში.



ამასწინათ ვუყურებდი, ქალბატონი ჩერგოლეიშვილი და ვახო სანაია ბაასობდნენ. საოცარი ამბავია, პარლამენტი კანონის მიღებას გეგმავდა სკოლებში პატრიოტული აღზრდის თაობაზე. ეს რომ გაიგეს, პირდაპირ შეესივენ ლიბერალები პარლამენტს. მაშინ გამახსენდა ზუსტად ჰიქსოსები.

ტელევიზიით გაჰკიოდნენ ჩერგოლეიშვილი და სანაია — რა დროს პატრიოტიზმი და რაღა დროს წინაპრებია, ჩვენს ოჯახებში იჭრებიან და შვილების აღზრდას არ გვაცლიანო.

მწერალთა კავშირს რაც უქნეს, ყველამ ვიცით. შეესივნენ იქაურობას, გამოყარეს მწერლები და დაამკვიდრეს ნიკოლოზ რურუას მიერ დამტკიცებული ბორდი, რომელსაც მე ბორდელს ვეძახი.

მწერალთა ბიბლიოთეკა იყო არქივი, მემორიალური სივრცე, ეს ყველაფერი გაანადგურეს, ზემოთ სასტუმრო გააკეთეს, დაბლა რესტორანი. ბაღში, სადაც იკრიბებოდნენ ჩვენი საოცარი მწერლები და საუბრობდნენ, იქ რესტორნის გარე ინტერიერია და შესვლის უფლება სასხვათაშორისოდ არავის აქვს. მწერლები მწერლის ძველ სახლში ვერ შევდივართ. ხელისუფლებაც კი ვერ ახერხებს, რომ შენობაში მწერლები დაგვაბრუნოს. ვინ შეისყიდა, ვინ მფარველობს, რა ფასად, რის სამაგიეროდ, არავინ იცის.

ადრე დავწერე და შეგახსენებთ: ირაკლი ღარიბაშვილმა დონალდ ტრამპი საქართველოში უნდა ჩამოიყვანოს-მეთქი. იმ პერიოდში ვთქვი ეს, ბაიდენმა და მისმა თანამოაზრეებმა რომ თქვეს — ერთსქესიანთა ქორწინება უნდა დავაკანონოთო. და ახლაც ამ აზრზე ვარ.

მივუბრუნდები ისევ მესამე ძალას, რომელსაც სჭირდება მასმედია და სატელევიზიო სივრცე.

სახელმწიფო ვერ იარსებებს სახელისუფლო მედიის, ტელევიზიის გარეშე.

არც ერთი სატელევიზიო არხი

არ ეკუთვნის დღეს ქართველ ხალხს. ან საიდან შეიქმნა ეს ჟურნალისტთა კასტა, ეს უსამშობლო და უსიყვარულო ხალხი.

რუსთაველზე არ ვლაპარაკობ.

ფარნავაზზე მინდა გითხრათ, ქართული ენა რომ დაამკვიდრა, მზეს რომ ცვარი მოხოცა, ეს პოეზია იყო, ენას მიანიჭა უდიდესი ძალა.

დავით აღმაშენებელი მედრესეებს უშენებდა არაბ მწერლებს. ქართველებს — აკადემიებს, რუსთაველის ქვეყანა ვართ ჩვენ, ვაჟას, აკაკის, ილიას და დღეს ხაზგასმით ვამბობ, მწერლობა განდევნილია ქვეყნიდან და რაღა უნდა გავაკეთოთ. კინოხელოვნება, კულტურა რომ განდევნილი და განადგურებულია ნაციონალების, ანუ იგივე ჰიქსოსების ჯიშის არსებების მიერ, აღდგენა უნდა ამას და ბრძოლა უნდა ამას.

**სასიხარულოა, რომ ბატონი ბიძინა ხედავს ქართული კულტურის აღორძინების აუცილებლობას. ვერავითარი ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა ვერ აღორძინდება, თუ დავკარგეთ ჩვენი ისტორიული ცნობიერება და მორალი.**

ერთ ფაქტს გავიხსენებ:

„ქართული ოცნება“ რომ მოვიდა, შევთავაზეთ — გავაკეთოთ ეროვნული დარბაზი. ქართველთა ყოველი კუთხის ხალხი მოვიწვიოთ-თქო. მოეწონათ ეს იდეა. მამუკა არეშიძე კურირებდა მაშინ ამ საქმეს. დაგვპირდა: კარგი იდეაა და ერთ კვირაში პასუხს გაცნობებთო. ერთი კვირის მერე შევხვდით ბატონ მამუკას. შეწუხებული ჩანდა. რა მოხდა-თქო? — ვკითხეთ. რესპუბლიკელი ქალი რომ არის, თინა ხიდაშელი, იმან თქვაო, თუ ეს გეგმა განხორციელდა, ფანჯრიდან გადავხტები და თავს მოვიკლავო, რაში გვჭირდება მრჩეველთა დარბაზი, ჩვენ სიბრძნე და გონიერება არ გვაკლიაო.

აწი, ასეთი რამეები აღარ უნდა მოხდეს და ვისაც სად უნდა გადახტომა, იქ გადახტეს...

მეტის მოთმენა აღარ შეიძლება, ველარ იპარპაშებენ ახალი ხიდაშელები, რომლებიც ახლებური ტაქტიკით შეესივნენ ჩვენს პარლამენტს, ხალხსა და ქვეყანას.

„ქართულმა ოცნებამ“ თუ არ იბრძოლა და მხარი არ დაუჭირა ბიძინა ივანიშვილს, არც პარტიას ეშველება რამე და არც ამ ქვეყანას.

აქვე არ შემიძლია არ ვთქვა და ჩვენ კატეგორიულად უნდა შევაფასოთ ის იდიოტური განცხადება, რომელიც შალიკომ (ნათელაშვილმა) გააჟღერა „რუსთავი-2“-ის ეკრანიდან, კერძოდ, ის უტიფრად მოუწოდებს პატრიარქს, რომ მან სამების ტაძარი



ბიძინა ივანიშვილს არ მოახატინოს.

შალიკო ამას ამბობს იმ კაცზე, ვინც ეს გენიალური ტაძარი ააშენა და არაოდენ ეს ტაძარი, არამედ ურიცხვი სხვა ტაძარი, თეატრი, მუზეუმი თუ კულტურის ცენტრი დააფინანსა. ვერ ნახავ ხელოვანს, ნიჭიერ ადამიანს, მეცნიერსა და კულტურის მოღვაწეს, „ჩარეცხილს“ და იმედგადაწურულს სააკაშვილის სატანისტური ძალადობისგან, რომ ივანიშვილის მფარველი ხელი არ ეგრძნოს.

რამდენი მძიმე ავადმყოფი იხსნა (გადაარჩინა) მისმა ქველობამ.

ახლა შალიკო გამოდის „სატანების ტელევიზიით“ და პატრიარქს მოუწოდებს: „რომ მან „არ გაბედოს“, რომ სამების ტაძარი მოახატინოს მას, ვინც ეს ტაძარი ააშენა?“

რა არის ეს? რა დონის უხამსობაა, რა ტიპის ანომალური, ამორალური გამოვლენაა ასეთი „ქადაგება“?!

რა ტიპის განუკურნელი ვირუსი სჭირს მას და მისნაირებს, თვითონ ქვა-ქვაზე არ დაუდიათ და სხვისი გაკეთებულიც არ უნდათ!

შალიკომ ერთხელ ასეთი რამეც წამოროშა: „რას ჰგავს, ეს მათხოვარი მსახიობები ბერიკაშვილი და კავსაძე კანცელარიის და ოლიგარქის კარებზე რომ დგანან და მათხოვრობენო. მისი ეს უტიფარი სიტყვა დაიბეჭდა „ახალ თაობაში“.

აბა, რა ჰქნას მწერალმა და ხელოვანმა?

ფარაონების დროიდან დღემდე მათ ქველმოქმედება ან ხელისუფლება ინახავს.

ალბათ, ფსიქოლოგებმა უნდა ახსნან ეს მოვლენა, რა იწვევს მას.

ასევე, როცა ივანიშვილმა დააანონსა, ქართული კინოინდუსტრიის აღდგენის და დაფინანსების თაობაზე, „გამოსხდნენ“ „TV-1“-ის ეკრანიდან მუდმივად ჩასაფრებული გიენა მშვილდაძე-ქავთარაძეები (და მისთანები) და განგაში ატეხეს.

მართლაც, ქართული ფენომენალური კინო მოკლეს ქართული კულტურის მტრებმა, ახალი საუკუნის „ჰიქსოსებმა“.

ბიძინა ივანიშვილმა იგრძნო მისი გადარჩენის აუცილებლობა, ანუ ქართველი ერის არსებობის შეუძლებლობა კულტურული ფენომენის გარეშე. ვინაიდან ქართული რასა ფარნავაზიდან (და უფრო ძველი დროიდან) დღემდე კულტურის, ენის, დამწერლობის და მწიგნობრობის პრიორიტეტით მოდის.

მწერლობის გარეშე ქართველი ერი არ არსებობს და კინო არის ისეთი სინთეზური ხელოვნება, რომელმაც XIX საუკუნე ქართული კულტურის რენესანსად აქცია და მსოფლიოს გააცნო ქართველის ეთნოფსიქიკური სახე, შექმნა კინოს თვითმოფადი მოდელი.

**კულტურა, კინო, ლიტერატურა და ხელოვნება არის ერის ენერგეტიკის ის საძირკველი, რომელზეც უნდა აღიმართოს ერის გადარჩენის, ეროვნული ხსნის პირამიდა.**

**ივანიშვილმა ეს გზა დაინახა და ჩვენ მას ძამისთვის დიდი მადლობა უნდა ვუთხრათ.**

ქართული კინოს ინდუსტრიის იდეა პირდაპირ გენიალურია, რადგან იგი გზას უხსნის ქართველი კაცის ნიჭის მრავალმხრივ (სფერულ) გამოვლენას რეჟისურაში, მუსიკაში, მხატვრობაში, მწერლობაში, არტისტიზმში... ამავე დროს, ეროვნული კინო გააჯანსაღებს ერის ზნეობრივი სივრცის დანგრეულ ინტერიერებს, დეპრესიულ ფსიქოლოგიურ გარემოს...



მასალები მოამზადეს:
**ირანდა კალანდაძემ,**
**მანანა სუხიშვილმა**

**თემის გაგრძელება**
**მომდევნო ნომრებში**

# საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის მიმართვა საზოგადოებას

**საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის დამფუძნებელთა საბჭოს ინიციატივით 2019 წლის 6 აპრილს, რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში შეიკრიბა ქართული მწერლობის, სამეცნიერო-სახელოვნებო-საერო საზოგადოების გარკვეული ნაწილი და მიიღო მიმართვა ხელისუფლებისა და მასმედიის საყურადღებოდ.**

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება თავისუფალი საზოგადოების განვითარების ქვაკუთხედია. იმავდროულად, ადამიანის ამ ფუნდამენტურ უფლებას ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში თან ახლავს მკაფიო ეთიკური ჩარჩო — საზღვარი, რომლის მიღმა უკვე შეურაცხყოფა და დისკრიმინაციული გამოხატვა იწყება.

ამის საპირისპიროდ, ქართულ მედიაში სამწუხარო ყოველდღიურობად იქცა ცილისმწამებლური ინფორმაციის, ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახავი, (სამშობლოოს სიყვარულის, წინაპრების ხსოვნის, ზოგადად, ისტორიული ცნობიერების შეურაცმყოფელი) განცხადებების მიზანმიმართული ტირაჟირება.

ცრუ ინფორმაციის ნაკადსა და სიძულვილის ენას თითქოს მიეჩვია კიდეც ჩვენი საზოგადოება. უკვე „ნორმად“ იქცა ის, რომ რეიტინგის დევნაში მედიასაშუალებები ყველაზე იაფფასიან, უზნეო ილეთებს არ ერიდებიან, მაგრამ ბოლო პერიოდში ყოველგვარ ზღვარს გასცდა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის უზნეო ძალადობა საზოგადოებაზე, მის ღირსეულ მოქალაქეებზე, ეკლესიაზე...პატრიოტულ და რელიგიურ გრძნობებზე...

ჩვენ მოვისმინეთ და ვნახეთ, რომ ადამიანისთვის სრულიად შეუსაბამო, უხამსი ლექსიკის ინტენსიური გამოყენება, უშვერი სიტყვებით გინება ამ ტელეკომპანიის ხელმძღვანელის სავიზიტო ბარათად იქცა, რაც, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი — საზოგადოების შეურაცხყოფაა! სამწუხაროდ უნდა ვთქვათ, რომ „გამოხატვის თავისუფლებამ“ გამოიწვია ჟურნალისტთა ერთგვარი ვულგარიზაცია: მათ ვერ შეინარჩუნეს ეთიკური წონასწორობა და ზღვარი მიუღებელსა და დასაშვებს შორის. ვერ შეიმუშავეს საკუთარი ქცევის და გამოხატვის „კოდექსი,“ რომელიც ერს და ქვეყანას (გნებავთ სახელმწიფოსაც) აარიდებდა სიტყვიერ ძალადობასა და ტერორს. ეს ხიფათი ვერც ხელისუფლებამ აგვარიდა შესაბამისი კანონმდებლბით, ამდენად, და ამიტომ, საზოგადოების აღშფოთებამ კრიზისულ ზღვარს მიაღწია!... საქართველოს ტელევიზიები ყოველგვარ ზნეობრივ ზღვარს გადავიდნენ: და ლამის კოლექტიურ გვარამიებად იქცნენ! გამაოგნებელი იყო სანაია- ჩერგოლეიშვილის ეთერი „ტვ -პირველზე“, ეკრანიდან გაჰკიოდნენ, თითქოს უცხო პლანეტიდან მოსული არსებანი, მთლიანად ამოვარდნილი ეროვნული ცნობიერების სივრციდან და მიმართულნი მის წინააღმდეგ... რომ თურმე არავის სჭირდება პატრიოტიზმი, სამშობლო, წინაპრების სიყვარული და ასე შემდეგ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მედიასაშუალებებში (მათ შორის „რუსთავი 2“-შიც) არიან ჟურნალისტები, ვისთვისაც პროფესიული სტანდარტი და ეთიკა რეალურ ფასეულობას წარმოადგენს და, ვისთვისაც მიუღებელია ეთერიდან ამდენი ლანძღვა-გინების და ცილისწამების მოსმენა-კატეგორიულად გაემიჯნონ ამ „ვულგარიზაციას“ და საჯაროდ დააფიქსირონ თავისი პოზიცია!

ასევე, გვსურს მივმართოთ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ვისი პირდაპირი ფუქნცია მედიამონიტორინგი გახლავთ. ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების მიზნით ჩვენი პარტნიორი ქვეყნები სხვადასხვა ფონდის მეშვეობით აფინანსებენ რამდენიმე ორგანიზაციას, რათა მათ ობიექტურად განახორციელონ დაკვირვება მედიის მუშაობაზე და აღრიცხონ ეთიკის სტანდარტის დარღვევის უმცირესი ფაქტებიც კი. ამ ორგანიზაციებმა არ უნდა დახუჭონ თვალი სიძულვილის ენის უკიდურეს გამოვლინებაზე, რომელსაც ადგილი აქვს „რუსთავი 2“-ის (და მისი გამონაყოფი ტელევიზიების) ეთერში, და მწვავე რეაგირება მოახდინოს უხამსობის სტანდარტად ქცევის მცდელობაზე.

ჩვენ უმოკლეს პერიოდში გავახმოვანებთ საკანონმდებლო ინიციატივას, რომლითაც, ერთხელ და სამუდამოდ, კანონის ძალით, განიდევნება მედიასივრციდან უხამსი ლექსიკა, რათა შეურაცხყოფა, ცილისწამება გაიმიჯნოს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებისაგან და ჟურნალისტები დაბრუნდნენ ადამიანური ქცევის ზნეობრივ ნორმებში.

პარლამენტმა დროულად უნდა შეაჩეროს ეს ბაკხანალია (სიბინძურე) კანონით, თორემ, რასაც კანონი ვერ ასწორებს, მისი აღმსრულებელი თვითონ ხალხი ხდება.

**კობა არაბული, ლერი ალიმონაკი, ვახტანგ ხარჩილავა, ერეკლე საღლიანი, ბუბა ხოტივარი, გური ოტობაია, თემურ შავლაძე, ავთანდილ არაბული, ტარიელ ხარხელაური, გუჯა ბურდული, თორნიკე ალაშვილი, ბათუ დანელია, მერაბ შათირიშვილი, ვაჟა ხორნაული, ჯუბა ღებელი (ჯუმბერ გოგრიჭიანი), ირაკლი ვაშაყმაძე, აკაკი გასვიანი, ანზორ სიფრაშვილი, ზურაბ თორია, როსტომ მიგრიაული,რეზო კვერენჩხილაძე, ბადრი ცირამუა, ზურაბ ქობალია, ჯემალ კვერენჩხილაძე, მთვარისა ქსოვრელი, ნაპო კაკრიაშვილი, ბელა გველესიანი, ირანდა კალანდაძე, გია ბურდული.**

ამ მიმართვის პათოსს და ტექსტს მთლიანად იზიარებენ და ეთანხმებიან აქ წარმოდგენილი მწერლები და ხელოვნების მოღვაწენი და კიდევ ბევრი სხვა, ვინც აქ არ არის ნახსენები.



# უმადურობის სინდრომი

## წერილი მეოთხე

ბატონო ბიძინა, ვნახე თქვენი ინტერვიუ, რომელიც ტელე „იმედის“ ეთერში გავიდა 9 აპრილის ღამეს. მომეწონა, ეს იყო (ჩემი აზრით) დაუვარცხნელი და გულწრფელი საუბარი. სიმართლე გითხრათ, შემეცოდეთ კიდეც. არა, თქვენ არც ჩემი და არც სხვისი შესაცოდი არაფერი გჭირთ, მაგრამ ხელახლა დავინახე კარს მომდგარი უმადურების, უზნეოებისა და თვალთმაქცების დიდი არმია. უნებლიედ ისევ გამეფიქრა – ამ კაცს ქვეყანა რომ არ უყვარდეს, ნეტა რატომ ირჯება, რაზე ნერვიულობს, რისთვის და ვისთვის იმოკლებს-მეთქი სიცოცხლეს?

შეიძლება გახსოვთ, პრემიერ-მინისტრობის პერიოდში ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე გკითხეთ, პროკურორმა თუ გამომძიებელმა, რომელმაც ადამიანი გააუბედურა, ამ გაუბედურებულის აღსარება როგორ უნდა ჩაიბაროს-მეთქი? თქვენ მითხარით, პროკურორები და გამომძიებლები ახალ გარემოებაში ახლებურად იმუშავებენო. კი, ბატონო, მივესალმები თქვენს კეთილშობილურ ინიციატივას, მაგრამ ვერ და არ იმუშავეს მწვალებლებმა ახალ გარემოებაში ახლებურად – ბევრი საქმე განზრახ შემოიდო თაროზე, ბევრს კი საერთოდ მტვერი წაეყარა და დავიწყებას მიეცა. რა ქნას ახლა ცხოვრებაში გაცამტვერებულმა, დაზარალებულმა ჩვენმა მოქალაქემ, წავიდეს და კაგებეს აგენტ ვაშაძეს მისცეს ხმა?

საოცარი რამეები ხდება, ბატონო ბიძინა, თქვენს გარშემოც და ჩვენს გარშემოც ამ ბედკრულ საქართველოში. ვინც კი სარკოფაგიდან წამოაგდეთ, ყველა გაძღა და გაქსუვდა. ზოგიერთი კი ისე გათავხედდა, უკვე შავ-თეთრ ნეგატივად გთვლით. დიახ, ბატონ გია ხუხაშვილზე მოგახსენებთ. როდესაც თქვენ თქვით, არ მჯერა, ხუხაშვილი, შავგულიძე, სანიკიძე და სხვები როდისმე სააკაშვილის ოპოზიციაში თუ იყვნენო, ამაზე ასე გიპასუხათ:

„ბიძინა ივანიშვილი სააკაშვილს რომ აფინანსებდა, მაშინ ჩემს თავზე სააკაშვილი წისქვილის ქვას ატრიალებდა, სად ნახა, სად ამოიკითხა ჩემი სააკაშვილისადმი ხოტბა, არ ვიცი. მთელი ინტერვიუს განმავლობაში შავზე ლაპარაკობდა თეთრს და პირიქით. არათუ გამრუდებულ რეალობაშია, არამედ საერთოდ საპირისპირო რეალობაშია. მას აქვს გარკვეული ნოსტალგია, პოლიტიკურ დეპრესიაშია და უნდა, რომ ხალხს უყვარდეს“.

ესე იგი, თუ დიდ „ხუხას“ დავუჯერებთ, თქვენ ხართ ირეალობაში, ანუ არარეალურ სამყაროში და ამავე დროს გაქვთ პოლიტიკური დეპრესია, ძალიან გინდათ, რომ ხალხს უყვარდეთ. მინდა, „ხუხასეული“ ფენომენი ცოტა უკეთესად ავხსნა: თურმე თანამედროვე მედიცინაში პოლიტიკური დეპრესიაც ყოფილა... თურმე, როცა ადამიანს უნდა, რომ ხალხს უყვარდეს და ამ დროს ხალხს (ანუ „ნაცებს“) არ უყვარს, ვარდება პოლიტიკურ დეპრესიაში.









აქვე ბუნებრივად იბადება კითხვა: რა ჰქვია ადამიანს, რომელიც ასეთ დიაგნოზს სვამს? თუ არსებობს დაავადება, უნდა არსებობდეს ექიმიც. ამ შემთხვევაში ექიმის როლს ასრულებს „ხუხა“. ჰო, აბა, რა ჰქვია მის პროფესიას? ალბათ, პოლიტდეპრესოლოგი. ეეეჰ, ბატონო ბიძინა, ხუმრობა იქით იყოს და... ხედავთ, „ვინები“ გიტევენ და „ვინები“ გაყენებენ შეურაცხყოფას? ისევ ისინი, რომლებიც ზემო თაროს წამოსვით და რჩევებს ეკითხებოდით. მეტიც... მოდით, პირდაპირ გეტყვით, საზოგადოებაში უამრავი ჭორ-მართალი დადის, მავანს ბინა აჩუქაო, მავანს სახლი აუშენაო, მავანს უმკურნალაო... და სწორედ ეს დაჯილდოებულნი შემოგიტრიალდნენ. რა გამოდის, ვისაც ხელი გაუწოდეთ, ყველა ნამუსგარეცხილი რატომ აღმოჩნდა? პირში არ გეფერებით, უბრალოდ სიმართლეს ვამბობ, თქვენ იმდენად სულგრძელი ხართ, ამ წუთამდე არავისთვის წამოგიძახებიათ, მე ესა და ეს გაგიკეთეთ, რა უმადურები ყოფილხართო? არავისთვის გითქვამთ, სამკურნალოდ რომ გაგაგზავნე გერმანიაში და 150 ათასი დოლარი გავისროლე, სიკვდილისგან რომ გიხსენი, ეს როგორღა იყოვო? აშკარად ჩანს, თქვენი სიკეთე ამ ადამიანებს უკუღმა ესმით – გაუკეთებთ, გადაჰყვებით, დააფასებთ და ეგრევე იწყება: ესაო, იმათ კი არაო, ბიძინა ივანიშვილს სჭირდება, თავისი მიზნები აქვსო. არადა, ვიმეორებ, ხარჯავთ და არავისგან არაფერს ითხოვთ, პერიოდულად ტელევიზიით გამოდიხართ და მხოლოდ ის გეტყობათ, რომ ამდენი ღალატის გამო გული გტკივათ. თურმე, ამ გაქსუებულთათვის მთავარი პირადი ურთიერთობები კი არა, სახალხო ინტერესები ყოფილა, ქვეყნის მომავალი ყოფილა. თქვენ სიმართლე თქვით, ნეტა მაშინ სად იყვნენ, როცა ლევან მურუსიძე და სხვები ჩვეულებრივად მოსამართლეობდნენ, შვიდი წელიწადი რას ელოდებოდნენ? იმას, რომ ახლოვდება საპარლამენტო არჩევნები... იმას, რომ უკვე მიდის მავანთა გადანაწილება... იმას, რომ ახლა (მათი დავთრების მიხედვით) თუ არ იზრუნეს არჩევნებისთვის, თუ არ გამონახეს რაიმე ხვრელი, „ქართული ოცნებიდან“ ველარ მოხვდებიან პარლამენტში. მიიღეს სიგნალი და წავიდნენ, აქ რა არის გაუგებარი? არ ეყოთ ეს დრო, ვერ მოამთავრეს სათავიანთო საკითხები, იქ უნდათ დაბერება, საპარლამენტო სკამზე. რაღა დაგიმალოთ და... ეკა ბესელიაზე მაინც დამწყდა გული და ალბათ უფრო დამწყდება, გრიგოლ ვაშაძის გვერდით თუ დავინახავ. იგივე ბესელია ამბობს, ბიძინა ივანიშვილი ჩვენზე გაბრაზებულია, ვერ გაგვაჩუმა და ამიტომო:

„ჩემი გაჩუმება მიხეილ სააკაშვილმა ვერ მოახერხა, მაშინ როდესაც საბრალდებო სკამზე ერთ მხარეს სკოლის მოსწავლე შვილი მეჯდა და მეორე მხარეს – ძმა. ეს იყო სწორედ იმისთვის, რომ გავჩუმებულიყავი. ახლა ბიძინა ივანიშვილმა მოინდომა ჩემი გაჩუმება ხათრის გამო. უკაცრავად, როდესაც საქმე ამ ქვეყნის მომავალს, იდეალებს და სამართლიანობას ეხება, მე შვილზე და ძმაზე ძვირფასი არავინ მყავს ქვეყანაზე და მათ გამო ვერ გავჩუმდი, ვერავის გამო ვერ გავჩუმდები. გაბრაზებულია და დღეს სხვაგვარად ჰყვება იმას, რაც რეალობაში სხვაგვარად იყო. აქ ჩვენ ერთმანეთთან სასაუბრო ფუნდამენტი დავკარგეთ. ჩვენ დავრჩით იქ, სადაც ვიყავით და მან ნამდვილად შეიცვალა ხედვა“.

მიკვირს... ეკა ბესელია ისე იქცევა, თითქოს არ გიცნობთ, თითქოს მასთან არასოდეს გისაუბრიათ. მე და თქვენ ერთმანეთს პირველად 2012 წლის გაზაფხულზე შევხვდით, თითქმის სამი საათი ვისაუბრეთ და წარმოიდგინეთ, თქვენს მაშინდელსა და დღევანდელ პოზიციებს შორის სხვაობას ვერ ვამჩნევ. იმთავითვე კარგად იცოდით, რომ აუცილებლად მოგიწევდათ საერთაშორისო კონინქტურის დარწმუნება იმაში, რომ არ ხართ დიქტატორი და რევანშისტი, რომ არ აპირებდით მასობრივ დაპატიმრებებს, რომ არ გაყრიდით მოსამართლეებსა თუ პროკურორებს ქუჩაში და ორივე სექტორს მისცემდით თვითგამორკვევის საშუალებას. კი, ბატონო, თქვენ ეს შეძელით, თქვენ ყველაფერში დაარწმუნეთ საერთაშორისო თანამეგობრობა, მაგრამ როგორც ზემოთ დავწერე, ბევრი რამ ეწინააღმდეგება ბუნების კანონებს. მესმის, საზოგადოების გაერთიანებას ცდილობთ, პოლიტიკური აზროვნებისა და სწორი ანალიზის შემოტანას ცდილობთ, მაგრამ იცოდეთ, ბეწვის ხიდზე გადიხართ, სახიფათო გზას ადგახართ და ღმერთმა ნუ ქნას, არის საშიშროება, ამ გზამ გადაგიყოლოთ. აბა, ნახეთ, როგორ იქცევა გუბაზ სანიკიძე, როგორაა ამხელა კაცი ახუნტრუცებული:

„მე მგონი, ჩვენ საქმე ფსიქიკურ აშლილობასთან გვაქვს. აქ უკვე პოლიტიკური ანალიზები და შეფასებები აღარ არის საჭირო. ბიძინა ივანიშვილი სასწრაფოდ ფსიქიატრთან არის მისაყვანი, ყოველგვარი სარკაზმის გარეშე ვამბობ. სახიფათოა ივანიშვილი ქვეყნისთვის. კაცი მთელ სამყაროს ებრძვის, ჭკუაზე აღარ არის. სერიალებზე რეაგირებს და ხომ ვიცით, რომელ სერიალზეც რეაგირებს – „ჩემი ცოლის დაქალებზე“. იქ ბაქარ ორჯონიკიძეში ხედავს თავის თავს, თვითონ აკეთებს ტოლობის ნიშანს და გადაწყვიტა, რომ ფილმები გიორგი სააკაძეზე გადაიღოს, სადაც, ალბათ, თვითონ იქნება. 301-ე არაგველი. ეს კაცი ხელისუფლებასა და ნებისმიერ სოციალურ აქტივობას უნდა ჩამოვაშოროთ. თუ არ იზამს, უნდა ვაიძულოთ. გუშინ დაფიქსირდა, რომ პირუტყვულად ეშინია აქციების. ყველა თავის ფობია გამოავლინა. როგორც ჩანს, ქუჩის აქციები მოგვიწევს, რადგან ივანიშვილი არჩევნებით ხელისუფლებიდან წამსვლელი არ არის“.

სხვათა შორის, ძაან მაგრად თქვით ინტერვიუში, როცა გუბაზ სანიკიძემ დაიძინა, „ქართულ ოცნებაში“ იყო და როცა გაიღვიძა – „ნაცმოძრაობაშიო“. ჰო, მაგრამ გაიღვიძა კი? მაგას ისევ სძინავს, ძილბურანშია და ესიზმრება, როგორ, რა გზით უნდა დაგამხოთ. როდესაც მაგას ეძინა, ჟურნალისტები სანთლით ვეძებდით და იმალებოდა... სულ გაიძახდა, მაცალეთ, ჯერ დიდი საქმეები მაქვს დასამთავრებელიო. კი არ იძახდა, ძილში გვეპასუხებოდა ხოლმე ავტომატურად. გულბოზ სანიკიძე უკადრებელს კადრულობს, გულბოზობს და ლაზღანდარობს. ეს მრგვალი მუტრუკი უფრო ჭკვიანი მეგონა, მაგრამ ერთი რიგითი ბოლმიანი ყოფილა, რომელმაც კარგად ისარგებლა თქვენი ხასიათით და სიკეთეებით. 2012-დან 2016-მდე თბილად იყო მოყუჩებული, ახლა კიდევ იძახის, ივანიშვილს ფსიქიატრი სჭირდებაო.

აგერ, შეიკრიბნენ ძველი ჯეელები, თქვენს მიერ წამოყრილნი სარკოფაგებიდან და ავცადებენ, ივანიშვილი უნდა ჩამოვაშოროთ ხელისუფლებას ისე, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არ დაბრუნდესო. ჩემი აზრით, ეგენი საბოლოოდ გაითხრიან სამარეს და საკუთარი ფეხით ჩავლენ პოლიტიკურ მოუსავლეთში.

პატივისცემით,

**გელა ზედელაშვილი**

# გამოთაყვანების ზღვარზე, ანუ „ტოსკა“ თუ „სოსკა“?!




იყო ერთი დიდი კაცი და დიდი მოაზროვნე ემანუელ კანტი. მან ერთხელ თქვა: ხელები, ეს არის თავიდან გამოსული ტვინი. ანუ, რასაც ადამიანი მოქმედებს, ამბობს და აკეთებს, თავიდან, ანუ ტვინიდან გამომდინარეაო.

...რასაც გვარამია აკეთებს, მიხეილ სააკაშვილის ტვინის კარნახით აკეთებს და გამოდის, რომ ნიკოლოზ გვრამია სააკაშვილის ხელებია.

ამ ბინძური ხელებით იფხანს მიშა ყ...ებს და მერე ამ ხელებს გვიფათურებს სულში...

კიდევ კარგი, ბიძინა ივანიშვილმა „გაბედა“ და თქვა:

**„თუ ეს კიდევ დიდხანს გაგრძელდა, ჩვენ შეიძლება (არავის არ მინდა შეურაცხყოფა მივაყენო) სხვა საზოგადოება მივიღოთ, — რაღაც გამოთაყვანებული (ბოდიშის მოხდით)...“**





გვარამიას, ამ გამოთაყვანებულს და გაბოროტებულს, როგორც კარგად ვხედავთ, ქვეყნის გამოსულელებაც უნდა, მაგრამ ეს ჩემი წერილი გვარამიას არ ეხება, რადგან გვარამიათი არც დაწყებულა და არც დამთავრდება მსოფლიოში შექმნილი მედია-ომის მძვინვარება, რომლის ერთი პატარა „რუჩნაია გრანატა“ გახლავთ თავად ნიკოლოზ გვარამია.

სინამდვილეში, ტელეეკრანებიდან წამოსული სიბილწის ნიაღვარი მოსახლეობის მასობრივი და სრული ფსიქოლოგიური გამოფიტვისკენ არის მიმართული და ადამიანების დაცემისა და განადგურების ერთი შეხედვით უწყინარი, სინამდვილეში კი საშინელი იარაღია.

2004 წელს, ნიუ იორკში, გამოიცა გელაპის ინსტიტუტის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის, ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის მიერ პოზიტიური ფსიქოლოგიის „ბაბუად“ წოდებული დონალდ კლიფტონის წიგნი „პოზიტიური სტრატეგიები ცხოვრებაში და საქმეში“.

კორეის ომის დასრულების შემდეგ ყურადღება მიიქცია ფაქტმა, რომ ჩრდილოეთ კორეის ტყვეობაში ყველაზე მეტი სამხედრო ტყვე დაიღუპა ამერიკის მთელი სამხედრო ისტორიის განმავლობაში. თუმცა, სიტუაციას, რომელშიც კორეის ბანაკებში ამერიკელი ჯარისკაცები იმყოფებოდნენ, არ შეიძლება ეწოდოს ზედმეტად მკაცრი ან არაადამიანური — ტყვეებს საკმარისი რაოდენობის და მისაღები ხარისხის საკვები, წყალი და საცხოვრებელი პირობები ჰქონდათ.

კვლევების შემდეგ აღმოჩნდა, რომ პატიმრებზე მიზანმიმართულად იყენებდნენ ფსიქოლოგიური ზემოქმედების მეთოდებს, რომლებმაც დამანგრეველი გავლენა იქონია მათ ფსიქიკაზე. ამ მეთოდის ავტორებს მიზნად ჰქონდათ, ჯარისკაცები ადვილად სამართავ ფსიქოლოგიურ „ვამპირებად“ ექციათ. კვლევის დროს დაავადების ახალი სახეობა აღმოაჩინეს და მას უკიდურესი უიმედობის სინდრომი ეწოდა — **mirasmus, emaciation** ფსიქოლოგიური ძალების გამოფიტვა, ანუ ცხოვრების სურვილის გაქრობა.

მიზანი იყო, ადამიანში ცხოვრების სურვილი გაქრობა, იმ ემოციური წყაროს გარეშე დარჩენა, რომელსაც ადამიანური ურთიერთობები ქმნის.

ამ მიზნისთვის ოთხი ტაქტიკური მეთოდი გამოიყო:

— დასმენების, წახალისების გზით ურთიერთობებში უნდობლობის დანერგვა;

— საკუთარი უღირსობის განცდის წახალისებით პიროვნული თვითგვემის სურვილის აღძვრა;

— პატრიოტული გრძნობების განეიტრალება;

— პოზიტიური ინფორმაციების დეფიციტის შექმნა.

განსაკუთრებული ფსიქოლოგიური ტაქტიკა გულისხმობდა ანტიპატრიოტული განცდების სტიმულაციას ნებისმიერი ფორმით, **ნაციონალური ღირებულებების გაუბრალოებას და ავტორიტეტების მიმართ ნდობის გაქრობას.**

მთავარი შედეგი იყო ხელმძღვანელობასა და მათ ხელქვეითებს შორის არსებული ურთიერთობების თანდათანობითი და თანმიმდევრული ნგრევა.

ადამიანური ურთიერთობები თანდათან მოისპო.

ადამიანებს ერთმანეთი ფეხებზე ეკიდათ.

ტყვე ჯარისკაცებისთვის დადებითი ემოციების დეფიციტის შექმნისა და ნეგატიური ემოციებით მათი უხვად მომარაგებისთვის, კარგი ცნობები ადრესატებამდე ვერ აღწევდა, ყველა ცუდი ამბავი კი, მაგალითად, ცნობა ახლობლის სიკვდილის შესახებ ან ცოლის წერილი, რომელშიც ის წერდა, რომ დაიღალა ქმრის ლოდინით და ცხოვრების გაგრძელებას სხვასთან აპირებდა, პატიმრებამდე შეუფერხებლად მიდიოდა. ეფექტი დამანგრეველი იყო: ტყვეები ცხოვრების აზრს კარგავდნენ, ბოროტდებოდნენ, უარს ამბობდნენ ყველა დადებით ცხოვრებისეულ ორიენტირზე. აღარ სჯეროდათ საკუთარი თავის, რომ აღარაფერი ვთქვათ ნათესავებისა და ღმერთის რწმენაზე.

ამ აპრობირებულ მეთოდს ახორციელებს „რუსთავი-2“ ქართული საზოგადოების დასანგრევად და ზნეობრივად დასაცემად და ამ მზაკვრული გეგმის ჭანჭიკია ეს მყრალი ნიკა გვარამია...

●



კარგა ხნის წინ, სოფელში, ჩემს მეზობლად მარტოხელა მოხუცი ცხოვრობდა — თამარა მოისწრაფიშვილი.

უსაყვარლესზე უსაყვარლესი ქალი იყო თამარა ბებო.

სკოლიდან როგორც კი მოვიდოდი, დავაგდებდი ჩანთას და გავრბოდი თამარა ბებიასთან.

ქალბატონი თამარ მოისწრაფიშვილი, ფერმის მწველავი, სოფლის მეურნეობის საკავშირო გამოფენის კანდიდატი იყო თურმე ახალგაზრდობაში.

კრემლი და მოსკოვი ჰქონდა ნანახი და ყვებოდა და ყვებოდა ამბებს.

მართალია ბევრი ლაპარაკი კი უყვარდა, ვეჯაჯღანებოდი, მოკლედ მოყევი, მოკლედ-თქო, მაგრამ, რაღა დროს ესაა ახლა...

განსაკუთრებით მომწონდა მისი მოყოლილი დიდი თეატრის ამბები.

— წაგვიყვანეს მშრომელები და უზარმაზარ დარბაზში ოპერა „ტოსკას“ გვაყურებინესო.

ეს ხელებდაკოჟრილი, წლებისგან დამჭკნარი თამარა ბებია, ღმერთმა ნათელი დააყენოს იმ სპეტაკ თავზე, ისეთი ღირსებით ყვებოდა ამას, რომ, როგორც თვითონ უყვარდა თქმა, ერთ-ერთი „პირველი ქალი“ იყო ჩემთვის იმ მომენტში.

სინამდვილეში, როგორც ზემოთაც გითხარით, თამარა მოისწრაფიშვილი მწველავი იყო, თუმცა მან იცოდა, რომ არსებობდა ჯაკომო პუჩინი, რომელმაც დაწერა ოპერა „ტოსკა“.

●

წლეულს, სწორედ გაზაფხულზე, „ტოსკას“ თბილისში პრემიერიდან 100 წლისთავი შესრულდა.

1851 წელს თბილისის ოპერის თეატრში პუჩინის ოპერა „ტოსკათი“ დაიდგა.

კონსტანტინე გამსახურდია თავის წერილებში წერს: მე-20 ს-ის 20-იან წლებში მსოფლიოში სულ 5 ქვეყანას აქვს ოპერა. ესენი არიან იტალიელები, გერმანელები, რუსები, ფრანგები და ქართველებიო.

აღარაფერს ვამბობ სწორედ იმ 20-იან წლებზე, არაყიშვილი და ფალიაშვილი რომ წერდნენ საოპერო შედევრებს.

ლანძღვა-გინების და სიბილწის ნიაღვარი, იცოცხლე, მოედინება, მაგრამ ამ საოცარ და საამაყო ამბავზე არავის, არც ერთ ტელეარხს ხმა და კრინტი არ დაუძრავს.

როგორ ახსენებდნენ, როცა ქართული ტელევიზიების ზოგიერთი თანამშრომელი, სავარაუდოდ, „ტოსკას“ და „სოსკას“ ერთმანეთისგან ვერ არჩევს?!

ამას ჰქვია სწორედ ერის გამოთაყვანება, ადამიანების დაცემა და ქვეყნის განადგურება. ამაზე მიანიშნა სწორედ ბიძინა ივანიშვილმა, თორემ ის კი არაა მნიშვნელოვანი, საცოდავი ნიკოლოზ გვარამია პირიდან ამოაფრქვევს სიმყრალეს თუ ნებისმიერი სხვა ბინძური ხვრელიდან...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# პოლიტპარადოქსები



### არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა

— არა სიკვდილი, არა სიცოცხლე, არამედ რაღაც სხვა! — თქვა გრანელმა.

— არა სააკაშვილი, არა ივანიშვილი, არამედ რაღაც სხვა! — თქვა მაღრაძემ.

გრანელი პოეტი იყო, მაღრაძე ამბობს, რომ ისიც პოეტია და ამიტომაც უყვარს ასეთი პოეტური გადახვევები პოლიტიკაში.

პოეტ გრანელს პოეტ მაღრაძეზე ლექსი აქვს დაწერილი.

„შემოდგომის საღამოა მშვიდი, ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი“, — ეს სტრიქონები პოეტმა გრანელმა პოეტ მაღრაძეს მიუძღვნა, რომე-





ლიც მთელი ცხოვრება „ხიდან ხეზე“ გადაფრენაშია — ეროვნული მოძრაობიდან ჯაბა იოსელიანზე გადაფრინდა, იოსელიანიდან შევარდნაძეზე, შევარდნაძიდან სააკაშვილზე, სააკაშვილიდან — ივანიშვილზე. სულ ასე დაფრინავს „ჩიტი“ მაღრაძე და გზადაგზა ოქროს სკინტლით ავარაყებს საკუთარ ოქროს ბუდეს, რომლის აშენებაში ყველა ზემოთჩამოთვლილ პერსონას თავისი ლომის წილი აქვს შეტანილი.

ივანიშვილიდან სად გადაფრინდება „ჩიტი“ მაღრაძე, ეს, ჯერჯერობით, უცნობია — ის ჯერ ჰაერშია და იქიდან ზვერავს პოლიტიკურ ბაღნარს, რომ რომელიმე საიმედო ტოტი შეარჩიოს და ფრენით დაღლილმა ზედ ჩამოისვენოს.

პოეტი გრანელიო, კი ვთქვით ზემოთ, მაგრამ გრანელის პოეტობა გასულ კვირას ეჭვქვეშ დადგა, როცა ბათუმის მთავრობამ გრანელის ბიუსტის დადგმა გადაწყვიტა.

— დაიდგას ქართული პროზის თვალსაჩინო წარმომადგენლის ტერენტი გრანელის ბიუსტი ბათუმშიო, — ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ქალაქის მთავრობამ და ოპოზიცია გადაირია — პოეტი იყო გრანელი, პროზის შვილი ვიყო, პროზა რა შუაშიაო?!

გრანელის პოეტობა-პროზაიკოსობის გამო სულ თავ-ყბა დაალეწეს ერთმანეთს პოზიციამ და ოპოზიციამ.

ცხონებული გრანელი ამ პოეტობა-არაპოეტობის გამო გასული საუკუნის 20-იან წლებშიც გაება შარში.

...გრანელი ჭადარზე აძვრა და გრიგოლ რობაქიძეს ჩაუსაფრდა, რომელიც ერთსა და იმავე დროს ევროპულად გამოწკეპილი ჩამოივლიდა ხოლმე ოპერის თეატრის წინ.

გაუსწორდა თუ არა რობაქიძე გრანელის ჭადარს, ისკუპა გრანელმა და თავზე დაახტა კოლეგას.

შეიქნა ჩხუბი და ბღლარძუნი.

მილიციამ მოჩხუბრები დააკავა და განყოფილებაში წაიყვანა.

— ვინ ხართ თქვენ და რა გაჩხუბებთ? — მკაცრად იკითხა მილიციონერმა.

— პოეტები ვართ ჩვენ, პოეტები, — უპასუხა რობაქიძემ.

მილიციონერმა ჯერ დაძონძილ-ჩამოკონკილ ტანსაცმელში „გამოწყობილი“ გრანელი აათვალიერ-ჩაათვალიერა, მერე დენდივით გამოწკეპილ რობაქიძეს გახედა ეჭვის თვალით და კბილებში გამოსცრა: — ეს საწყალი მართლა ჰგავს პოეტს, მაგრამ თქვენ რა გიგავთ პოეტს? ვის ატყუებთ თქვენ აქ? — ხმაში ფოლადი გამოერია მილიციონერს.

— მართალი ხართ, ამხანაგო მილიციონერო, ეს არ არის პოეტი, პოეტი მე ვარო, — სიხარულით წამოიძახა გრანელმა.

ამხანაგო მაღრაძე, ლორდივით „ჩაზმანული“ რომ დაიკვანწებით, ხანდახან ზემოთაც აიხედეთ ხოლმე — რომელიმე ჭადრიდან რომელიმე პოეტი არ დაგახტეთ თავზე.

უყვართ მაგათ ხეებზე ძრომიალი და ფრთხილად იყავით...

### პოლიტპროლეტარები

— პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით! — ეს ცნობილი ლოზუნგი მახსენდება ხოლმე ქართული ოპოზიციური ნახირის ბღავილს და გნიასს რომ ვუსმენ.

— ყველანი გავერთიანდეთ! ყველანი ერთად დავდგეთ! მხოლოდ ასე, გაერთიანებული ძალით თუ შევძლებთ ბიძინა ივანიშვილის დამარცხებას! — გაჰყვირიან ოპოზიციური სპექტრის თავკაცები.

ესენიც პროლეტარები არიან, გაკოტრებული, გაქსუებული პოლიტპროლეტარები, რომლებიც პოლიტიკური კაპიტალის (და არა მარტო პოლიტიკურის...) შოვნას ისევ და ისევ ბიძინა ივანიშვილის ხარჯზე აპირებენ.

დიახ, დიახ, ესენიც ნამდვილი პოლიტპროლეტარები არიან, რომლებმაც გზადაგზა ყველაფერი დაკარგეს — სახელი, ავტორიტეტი, ნდობა, პატივისცემა, სინდისი, ნამუსი, მოკლედ, ყველა ის თვისება, რითაც ადამიანს ადამიანი ეთქმის.

ესენი, ეს საცოდავი არსებები, ათას გალავანზე გადამხტრები და გადმომხტრები, თავიანთ თავს პოლიტიკოსებს რომ უწოდებენ, სინამდვილეში, უბადრუკზე უბადრუკი არსებები არიან, რომლებმაც პოლიტიკა ფულის საჭრელ „ცეხად“ აქციეს, საკუთარი ქვეყნის და საკუთარი ხალხის ბედ-იღბალი ვაჭრობის და ფულის კეთების საგნად.

ერთი თვალი გადაავლეთ ამათ ბიოგრაფიებს, თვალი გადაავლეთ ამათ მიერ განვლილ გზას — ყველა ერთმანეთზე უარესი არამზადა და სალახანა როგორ არის, ყველა ერთნაირი უსირცხვილო და უტიფარი როგორ არის, ყველას ერთნაირად როგორ აქვს გაწყვეტილი შუბლის ძარღვი?

გავერთიანდეთო, რომ გაიძახიან, გაერთიანება განსაწმენდელი ხომ არ არის, რომ არამზადებს ყველა ცოდვა ჩამოაწეროს და გუშინდელი არამზადები დღეს კეთილშობილ რაინდებად იქცნენ?

ერთად გაერთიანებული ბევრი არამზადა, უბრალოდ, ბევრი არამზადაა, რომლებიც ახლა ერთად გააკეთებენ იმას, რასაც აქამდე ცალ-ცალკე აკეთებდნენ.

თითქმის ოცდაათი წელია, ესენი წურბელებივით ასხედან ქვეყნის სხეულს და სისხლს სწოვენ.

დავიღალეთ ამათი პარაზიტობით და მუქთახორობით, ამათი ამპარტავნობით და ქედმაღლობით, ამათი უზნეობით და უსაქციელობით.

კარებიდან გავაგდებთ, ფანჯრებიდან მოძვრებიან, ფანჯრებს მივუხურავთ, საკვამურებიდან მოცოცავენ, საკვამურებს ამოვუგმანავთ, გვირაბის თხრას იწყებენ, რომ როგორმე ხელისუფლებაში მოვიდნენ და მერე სულ იყვნენ და იყვნენ...

კი, მაგრამ, გუშინ აქ არ იყავით, გუშინწინ აქ არ იყავით, ათი წლის წინათ, ოცი წლის წინათ აქ არ იყავით, რომ აგური აგურზე არ დაგიდვიათ?

მაშინაც ბიძინა ივანიშვილი გიშლიდათ ხელს? თუმცა არ იყო



მაშინ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში და ხელს როგორ და რანაირად შეგიშლიდათ?

ცალ-ცალკე არაფრის მაქნისები არ ხართ, ცალ-ცალკე ღმერთს არ უქნიხართ, ახლა კი მშიშარა და მფრთხალი გოშიებივით ერთად შეყრილნი და ერთად ყოფნით გულგამამაცებულნი, ერთ ხროვად შეკრულნი,. „ჯოგურად“ უტევთ და უყეფთ ერთ კაცს, რომელმაც ქვეყანა გადაგირჩინათ, ქვეყანა აგიშენათ, თქვენ კი მზად ხართ, ჩაქოლოთ და ლინჩის წესით გაუსწორდეთ...

არა, მათ არ უყვართ საქართველო, რადგან სიყვარული, პირველ რიგში, პასუხისმგებლობას ნიშნავს იმის მიმართ, ვინც გიყვარს.

რა პასუხისმგებლობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ეს ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია იმაზე ფიქრითაც კი არ იწუხებს თავს, თუ რა შეიძლება მოხდეს და რა შეიძლება მოუვიდეს ქვეყანას, რომელსაც ბიძინა ივანიშვილისგან „გაათავისუფლებენ“.

რა შეიძლება მოუვიდეს და, როგორც კი ეს მოხდება, იმ წამსვე, იმ დღესვე საქართველოში გაჩნდება მიხეილ სააკაშვილი თავისი ძველი თუ ახალი ბანდით, რაც უპირობო საწინდარია იმისა, რომ ქვეყანაში აუცილებლად დაიწყება სამოქალაქო დაპირისპირება, რაც, ალბათ, საბოლოოდ დაასამარებს ქართული სახელმწიფოს არსებობას.

თქვენი გაერთიანება და თქვენი ერთად ყოფნა როგორ შეიძლება, თქვე უბედურებო — თქვენ ხომ კასრში გამომწყვდეული ვირთხებივით ერთმანეთს დაჭამთ და როცა ამ საქმეს მოამთავრებთ, მოვა მიხეილი, ერთს ბარაქიანად დაგაშარდავთ და, „თავისი“ რეზიდენციისკენ გაემართება ავლაბარში.

მეტი საქმე არ აქვს მიხეილს, წილში ჩაგისვათ და ქარდავას, მაჭუტაძის, ბურჯანაძის, ნათელაშვილის ჭკუაზე იაროს.

იმდენს როგორ ვერ ხვდებით, თქვე მართლად იდიოტებო, რომ საზარბაზნე ხორცად ჭირდებით მიხეილს და მის ძლევამოსილ საზღვარგარეთელ პატრონებს და პარტნიორებს.

ჰოდა, მიდით, გაერთიანდით და ერთად გასწიეთ მიშას ხორცსაკეპისკენ...



# დიდი ფეხბურთის ქართველი რაინდი

## მანუჩარ მაჩაიძე – 70



ქართველ ფეხბურთელებზე მე-20 საუკუნის საბჭოთა ნაკრების ერთ-ერთი დიდი რუსი მწვრთნელი, **კონსტანტინე ბესკოვი** 1972 წელს წერდა: „თბილისის „დინამოში“ თამაშობდნენ გამორჩენილი ფეხბურთელები: ბ. პაიჭაძე, მ. ბერძენიშვილი, ა. ღოღობერიძე, შ. იამანიძე, ს. მეტრეველი, მ. მესხი და სხვები. თითოეული მათგანი მოვლენა იყო საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში. „დინამო“ ყოველთვის იდგა ევროპის საუკეთესო გუნდების დონეზე თავისი ტექნიკური თამაშით, ტემპერამენტით, საერთო შესაძლებლობებით. დღევანდელ „დინამოში“ მომწონს მ. მაჩაიძე — უდავოდ ნიჭიერი ფეხბურთელი, რომელიც ერთ-ერთი უძლიერესი ნახევარმცველია საბჭოთა კავშირში“.

აღნიშნული თანავარსკვლავედიდან, წინამდებარე წერილით, გვსურს გამოვყოთ ერთი დიდად მანათობელი ვარსკვლავი, ქართული ფეხბურთის ლეგენდა, ქართული, საბჭოთა და ევროპული ფეხბურთის მშვენება, ტყავის ბურთის დიდოსტატი, საერთაშორისო კლასის ფეხბურთელი, თბილისის „დინამოს“ ყველაზე ბედნიერი და ხელუხვი (ბარაქიანი) კაპიტანი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ორგზის თასის მფლობელი, ევროპული ოთხთა ტურნირის თასის — „კარაველას“ მფლობელი, სკოლის ოქროს მედალოსანი მოსწავლე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წითელდიპლომანტი, მეცნიერებათა დოქტორი, ყოფილი პარლამენტარი, თვითნასწავლი მხატვარი, კლასიკური მუსიკის თაყვანისმცემელი, კარგი მოჭადრაკე, შესანიშნავი მამა და ბაბუა, ღირსების ორდენის კავალერი, აზროვნებისა და შემართების, მიზანდასახულობისა და ღირსეული მოქალაქობის სიმბოლო, ბატონი **მანუჩარ მაჩაიძე**!!! რომელსაც სულ ახლახანს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.

მანუჩარ მაჩაიძემ, თბილისის „დინამოს“ მაისურით 1968–1980 წლებში 431 მატჩი ითამაშა (იგი ამ მაჩვენებლით პირველ სამეულში შედის ვლ. გუცაევის მიერ 437 და ა. ღოღობერიძის მიერ 432 ნათამაშევი მატჩის შემდეგ) და, როგორც ნახევარმცველმა, გაიტანა 84 გოლი; მ.შ.: სსრკ-ს პირველობაზე 295 მატჩი (გაიტანა 42 გოლი), 56 მატჩი თასზე (გაიტანა 5 გოლი), და 80 საერთაშორისო მატჩი (15 გოლი); სსრკ-ს ნაკრებში ითამაშა 4 მატჩი, ასევე ოლიმპიურ ნაკრებში 4 მატჩი (1 გოლი).

მ. მაჩაიძემ სსრ კავშირის უმაღლეს ლიგაში, ევროპისა და მაღალი დონის საერთაშორისო შეხვედრებში სულ 506 მატჩი ჩაატარა (იგი ამ მხრივ გამოკვეთილი ლიდერია) და გაიტანა 91 გოლი.

1980 წელს ტაშკენტის „პახტაკორის“ გუნდის ტრაგიკულად დაღუპვის (თვითმფრინავის ჩამოვარდნის შედეგად) გამო დაეხმარა ახლად შექმნილ გუნდს. შემდეგ ერთი სეზონი (1981 წ.) ითამაშა მოსკოვის „სპარტაკში“, სადაც დაეუფლა ვერცხლის მედალს. 1982 წელში ქუთაისში და „ტორპედო“ დააბრუნა კვლავ უმაღლეს ლიგაში.

მ. მაჩაიძე ფლობს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ოქროს მედალს (1978 წ.), 2 ვერცხლის მედალს (1977 წ. თბილისის „დინამოში“ და 1981 წ. მოსკოვის „სპარტაკში“), 4 ბრინჯაოს მედალს (1971, 1972, 1976 წ. გაზაფხული, 1976 წ. შემოდგომა), არის სსრკ-ს 2-გზის თასის მფლობელი (1976, 1979), 3-გზის თასის ფინალისტი და ევროპის ოთხთა ტურნირის „კარაველას“ ულამაზესი თასის მფლობელი; 8-ჯერ იყო დასახელებული „33 საუკეთესოთა“ სიაში, მ.შ. 2-ჯერ (1978, 1979) — პირველ ნომრად (ნახევარმცველის პოზიციაზე), 2-ჯერ მე-2 ნომრად (1973, 1974) და 4-ჯერ — მესამე ნომრად (1971, 1972, 1976, 1977).

ჩვენო მანუჩარ! თქვენი 70 წლის იუბილე ყველა ფეხბურთელის იუბილეა, ქართველი ხალხის საზეიმო დღესასწაულია! ჩვენ, ყველა ნამდვილი პატრიოტის, სპორტის გულშემატკივრისა და თაყვანისმცემლის სახელით გულით გილოცავთ ამ იუბილეს. გაიხარე და გამრავლდი ოჯახში, გვარში, ერში და იდღეგრძელე თქვენს მოდგმასთან ერთად! დატკბი ქართველი ერის აღმავლობით, მისი გაერთიანებითა და გაბრწყინებით. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულს, სათნოებას და შენს ნაკვალევზე ნორჩების აყვავილებას, რაჭული „ხვანჭკარის“ კვლავაც ბრწყინვალედ დაყენებასა და მისით უფლის დიდებისა და ქართველი ერის სადიდებელ სადღეგრძელოებს.

**მურთაზ ხურცილავა** (სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს ბოლო 50 წლის საუკეთესო ფეხბურთელი): „მანუჩარ მაჩაიძე ბედნიერ ვარსკვლავზეა ფეხბურთელად დაბადებული. მან უდიდესი ამაგი დასდო თბილისის „დინამოს“. მისი კაპიტნობის დროს ერის უპირველესი გუნდი მეორედ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და 40 წლის ლოდინის შემდეგ ორჯერ ჩამოიტანა დიდი იმპერიის თასი!“

**რევაზ ძოძუაშვილი** (გამოჩენილი ფეხბურთელი და მწვრთნელი): „მქონდა ბედნიერება, მეთამაშა „დინამოში“ მანუჩართან ერთად. იგი ფლობდა ბრწყინვალე დრიბლინგს, ფეხბურთელის აზროვნებას, ტექნიკას, უძლიერეს დარტყმას და გუნდის ლიდერის ტალანტს. ვულოცავ ჩემს მანუჩარს ღირსშესანიშნავ იუბილეს!“

**ვლადიმერ ბარქაია** (საერთაშორისო კლასის ფეხბურთელი): მანუჩარ მაჩაიძე მოედანზე იყო ბრწყინვალე ფეხბურთელი და შესანიშნავი კაპიტანი. ბარაქალა მის სპორტულ ღვაწლს, მის კაცობას, ქართველობას!“

**ოლეგ ბლოხინი** (კიევის „დინამო“, ევროპის 1975 წლის საუკეთესო თავდამსხმელი): „ძალზე ძნელი იყო მანუჩარის წინააღმდეგ თამაში. ჩემი ევროპული ტიტულის გამო, ყოველთვის ვერიდებოდი მასთან პირისპირ შეხვედრას. იგი უბადლო ტექნიკას ფლობდა. გულით ვულოცავ 70 წლის იუბილეს!“

**მიშელ პლატინი** (გამოჩენილი ფრანგი ფეხბურთელი): „მაჩაიძის გვერდით სიამოვნებით ვითამაშებდი. იგი ბრწყინვალე ნახევარმცველია! 1980 წელი“.

**კევინ კიგანი** („ჰამბურგის“ თავდამსხმელი, ევროპის 1979 წ. საუკეთესო ფეხბურთელი): „დინამოსთან შეხვედრისას ყველაზე მეტად მე-7 ნომერი — მაჩაიძე — მომეწონა“.

**იტალიის საფეხბურთო კლუბ „ნაპოლის“ მწვრთნელები**: „რამდენ ბედნიერნი ხართ ქართველები, რომ გყავთ ისეთი უნივერსალური და უნიკალური ნახევარმცველი, საერთაშორისო კლასის ისეთი ბრწყინვალე დიდოსტატი, როგორიც არის „დინამოს“ კაპიტანი მანუჩარ მაჩაიძე“.

**სტეფან კოვაჩი** (ჰოლანდიის „აიაქსის“ ყოფილი უფროსი მწვრთნელი): „აღტაცებაში მომიყვანა ძმები მაჩაიძეების თამაშმა“.

**ანატოლი კონკოვი** (კიევის „დინამო“): „მანუჩარის თამაში ფეხბურთის დღესასწაულია“.

**იური გავრილოვი** (მოსკოვის „სპარტაკი“): „მანუჩარი რომ ბურთს ჩაიგდებს, ოფლში ვიწურებით. კარგი ბიჭი ხარ და სდიე. მე შენ გეტყვი, წაართმევ თუ რა?“

**გფრ-ს ყოველკვირეულმა გაზეთმა „კიკერმა“** და მისმა მთავარმა რედაქტორმა „ჰამბურგთან“ შეხვედრისას „დინამოს“ მთავარ ძალად მაჩაიძე მიიჩნიეს.

**ილია დათუნაშვილი** (1964 წელს ტაშკენტში 2 „ოქროს“ გოლისა და 1966 წელს „არარატთან“ 5 გოლის ავტორი): „მანუჩარი გამორჩენილი და საამაყო ქართველი ფეხბურთელია“.

**ბორის პაიჭაძე** (ფეხბურთის ქართველი „კარუზო“, 1981 წ.): „მანუჩარ მაჩაიძეზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი. იგი კარგი მოქალაქე, ზრდილი, განათლებული ახალგაზრდა და დიდი სპორტსმენია. იგი აბსოლუტურად განუმეორებელი და ახალი სახეა ქართულ ფეხბურთში“.

**ნიკოლაი ოზეროვი** (ფეხბურთის გამოჩენილი კომენტატორი. თბილისისა და მოსკოვის „დინამოელთა“ შეხვედრისას, 1976 წელს): „მოსკოვის „დინამოელები“ კვლავ ვერ გასცდნენ მაჩაიძის ცოცხალ კედელს. იგი ჯერჯერობით ფოლადივით მტკიცე და გაუმტარია“.

**კოტე მახარაძე** (ქართველი კომენტატორი, 1977 წ.): „ჩვენს მანუჩარს შეეძლო თვით პელეს, გარინჩას, ტოსტაოსა და ჟაირზინიოს გვერდით ღირსეულად ეთამაშა“.

**ნოდარ ახალკაცი** (თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი): „მანუჩარ მაჩაიძის დარი კიდევ ერთი ნახევარმცველი რომ მომცა, ჩვენს გუნდს წინ ნამდვილად ვერაფერი დაუდგებოდა“.

**რინატ დასაევი** (მოსკოვის „სპარტაკისა“ და საბჭოთა ნაკრების შესანიშნავი მეკარე): „მეკარეს ყველაზე მეტად აქვს საშუალება, თვალი ადევნოს თამაშის მსვლელობას. მქონდა ბედნიერება, მეხილა მანუჩარ მაჩაიძის ბრწყინვალე დრიბლინგები. იგი მოედანზე შესანიშნავი და პრინციპული მოთამაშე გახლდათ. გულმხურვალედ ვულოცავ შვიდ ათეულ წელს!“

**ვასილ მჟავანაძე** — იმდენად გულმხურვალე თაყვანისმცემელი იყო მანუჩარისადმი, რომ თბილისში ჩასატარებელი ყველა მატჩის წინ ჯუმბერ პატიაშვილს ეკითხებოდა: „ამხანაგო ჯუმბერ, დღეს მაჩაიძე ითამაშებს?“

**ბიძინა ივანიშვილი**: „მანუჩარ მაჩაიძე ქართველი ერის სასიქადულო შვილია. ის არამარტო დიდი ფეხბურთელია, არამედ ნამდვილი მამულიშვილი, პატრიოტი და საზოგადო მოღვაწეა, მწვანე მინდვრიდან სიხარულის უმაღლეს მწვერვალამდე ამაღლებული“.

**შვილიშვილები**: მანუჩარი, მარიამი, ალექსანდრე, ქეთევანი და საბა: „ჩვენ ძალიან, ძალიან კარგი ბაბუა გვყავს!“

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მ. მაჩაიძის სიყვარულს ხელოვნების, კერძოდ, ფერწერისადმი მის დამოკიდებულებას. იგი საქართველოს მხატვართა კავშირის წევრიცაა. მისი ნამუშევრების დიდი გამოფენა მოეწყო ქ. მოსკოვში, მხატვრების სასახლეში, 2010 წლის 24 აგვისტოს. გამოფენამ დიდი წარმატებით ჩაიარა და ხელოვნების მოღვაწეთა მოწონება დაიმსახურა!

დიდება უფალს შენი ამ ქვეყანაში მოვლინებისათვის! მადლობა შენ — ერისადმი მინიჭებული სიხარულისათვის!

გიკოცნით იმ ხელებს, 40 წლის მანძილზე ქართველთა მიერ ნანატრი თასი რომ თბილისში ჩამოიტანე მოსკოვიდან (2-ჯერ); დიდება იმ მარჯვენას, მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, მინსკში, ტაშკენტში, ბაქოსა და ერევანში ულამაზესი გოლები რომ გაჰქონდა! რა დაგვავიწყებს ერევნის „რაზდანის“ სტადიონზე „არარატის“ წაუგებელ მატჩთა სერიის დასასრულს, შენს მიერ გატანილ გოლს და მოგებულ მატჩს; ევროპელთათვის, განსაკუთრებით კი ფრანგებისათვის, შენს მიერ 1971 წელს პარიზის „პარკ დე პრენს“-ის სტადიონზე ცენტრიდან გატანილ გოლს! „ლივერპულთან“ მატჩს და, კიდევ რამდენს!!!

დიდება შენ! იდღეგრძელე ერის ამაგდარო მამულიშვილო!

### თაყვანისმცემელთა ეროვნული ნაკრები გუნდი:

**მეკარე:** ვაჟა ბერიძე (კაპიტანი).

**მცველნი:** ნოდარ ჭითანავა, ჯუმბერ პატიაშვილი, როინ მეტრეველი, შადიმან ფოცხვერია.

**ნახევარმცველნი:** თამაზ ტეტუნაშვილი, მერაბ ბერიძე, იოსებ ჩარკვიანი, თამაზ გოგიტიძე.

**თავდამსხმელები:** რევაზ კვინიკაძე და ვანო პაპუნიძე.

**მთავარი მწვრთნელი:** სალომე ზურაბიშვილი.

# ჯულიან ასანჟის ოდისეა დამთავრდა

„ყველაზე სამარცხვინო ვასალის სახელით შევა სამხრეთ ამერიკის ისტორიაში ეკვადორის პრეზიდენტი ლენინ მორენო“, — თითქმის ერთხმად აცხადებენ ლათინური ამერიკის ჟურნალისტები. მიზეზი ინტერნეტპორტალ „ვიკილიქსის“ დამფუძნებლისა და მთავარი რედაქტორისთვის ჯულიან ასანჟისთვის თავშესაფრის უფლების ჩამორთმევა გახდა. ინტერნეტგამოცემა 2006 წელს დააფუძნა ავსტრალიის მოქალაქემ ჯულიან ასანჟმა.




გამოცემა უმალ გახდა მსოფლიოში პოპულარული გამოქვეყნებული სკანდალური ინფორმაციებით. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციასთან ურთიერთობა მას შემდეგ დაეძაბა, როდესაც გამოაქვეყნა ერაყში გადაღებული კადრები, თუ როგორ გაუსწორდნენ მშვიდობიან მოსახლეობას ამერიკელი ჯარისკაცები. მაშინ „რეიტერის“ ორი ჟურნალისტიც დაიღუპა, რომელთა ვიდეოკამერა მფრინავებს იარაღი ეგონათ და შეტევა განახორციელეს (აშშ-ის სამხედროების წინააღმდეგ ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალმა გამოძიებაც დაიწყო, მაგრამ მას შემდეგ, როდესაც სახელმწიფო მდივანი მაიკლ პომპეო დამუქრა, რომ აშშ-ში სასამართლოს თანამშრომლებს არ შეუშვებდნენ, რამდენიმე დღის წინ ტრიბუნალმა გაავრცელა განცხადება, რომ შეწყვიტა საქმის წარმოება ვადის გასვლის მიზეზით). „ვიკილიქსში“ გავრცელდა ასევე გუანტანამოს ციხის სკანდალური კადრები.

ვითარება ჯულიან ასანჟსა და აშშ-ის ადმინისტრაციას შორის განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, როდესაც იმდროინდელი სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის მაკომპრომეტირებელი მასალები გამოაქვეყნა „ვიკილიქსმა“. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო, ფაქტობრივად, ასანჟზე ნადირობა.

თავდაპირველად ასანჟის წინააღმდეგ საჩივარი მისმა შევდმა მეგობარმა ქალმა შეიტანა სასამართლოში გაუპატიურების ბრალდებით. ამიტომ შვედეთის მთავრობა ბრიტანეთისგან კატეგორიულად ითხოვდა ასანჟის დაპატიმრებას და შვედეთში ექსტრადირებას. „გაუპატიურების“ საქმემ საბოლოოდ კომიკური სახე შეიძინა. „დაზარალებულმა“ აღიარა, მასთან ნებაყოფლობითი კავშირი მქონდა, მაგრამ ვიგრძენი, არ მომეწონაო. ამის გამო შვედი სამართალდამცველები იძულებული იყვნენ, შეეწყვიტათ საქმე დანაშაულის ფაქტების არარსებობის გამო. თუმცა ასანჟისთვის ბრიტანეთის სასამართლოს უკვე შეფარდებული ჰქონდა შიდაპატიმრობა.

იმთავითვე ცხადი იყო, რომ ასანჟის შვედეთში ექსტრადირების შემთხვევაში, იქაური ხელისუფლება აშშ-ს გადასცემდა, სადაც ხანგრძლივი პატიმრობა ან სიკვდილით დასჯაც კი ემუქრებოდა. დახმარების ხელი ჯულიან ასანჟს ეკვადორის ყოფილმა პრეზიდენტმა რაფაელ კორრეამ გაუწოდა და თავშესაფარი მისცა. იქიდან გამომდინარე, რომ ბრიტანეთის დატოვების უფლება არ ჰქონდა, ასანჟი ეკვადორის საელჩოში 2012 წლის ივნისში დაბინავდა. აქვე აღსანიშნავია, რომ სწორედ კორრეა დაეხმარა მორენოს გაპრეზიდენტებაში 2017 წლის მიწურულს.

ეკვადორში ხელისუფლების შეცვლის შემხეგ ასანჟისადმი დამოკიდებულება მკვეთრად გაუარესდა. მას ჩამოართვეს და აუკრძალეს ტელეფონით, ინტერნეტით სარგებლობა. საელჩოდან 7 წლის მანძილზე ვერ გამოდიოდა, რადგან შენობასთან პოლიციელები დარაჯობდნენ, რომლებიც ქუჩაში უმალ დააპატიმრებდნენ. უჰაერობამ და უმოძრაობამ ასანჟი ღრმა მოხუცს დაამსგავსა, თუმცა იგი 47 წლისაა.

ინფორმაცია ასანჟის მოსალოდნელი დაპატიმრების შესახებ დროდადრო ვრცელდებოდა. ჟურნალისტები მუდმივად მორიგეობდნენ ეკვადორის საელჩოსთან. თუმცა ხუთშაბათს, დაპატიმრების მომენტში მხოლოდ ერთი, რუსეთის ტელეკომპანია ღთ-ის ოპერატორები აღმოჩნდნენ საელჩოსათან. კადრებში კარგად ჩანდა, ხელით როგორ გამოიტანეს სამოქალაქო ტანისამოსიანმა, სავარაუდოდ, სპეცსამსაცურის თანამშრომლებმა ასანჟი საელჩოდან. რომელი ქვეყნის აგენტები იყვნენ, უცნობია. ასანჟი თავდაპირველად სასამართლოში გადაიყვანეს. მას ორთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს შიდაპატიმრობის პირობების დარღვევის ბრალდებით, ხოლო შემდეგ ლონდონის მკაცრი რეჟიმის ციხეში გადაიყვანეს, სადაც, ძირითადად, მძიმე დანაშაულისთვის იხდიან სასჯელს.

მოსალოდნელზე მძაფრი რეაქცია გამოიწვია ჯულიან ასანჟის



დაპატიმრებამ. „...ეკვადორელ ხალხს არასოდეს დაავიწყდება მორენოს ღალატი... როგორ გაბედა და შეუშვა უცხო ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები ჩვენს საელჩოში! ის დამპალი ადამიანია!“ — განაცხადა ეკვადორის ყოფილმა პრეზიდენტმა რაფაელ კორრეამ ლენინ მორენოზე (ისე, ადამიანს ლენინი რომ ჰქვია, მისგან რა სიკეთეს უნდა მოელოდე). ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილმა თანამშრომელმა ედუარდ სნოუდენმა, რომელიც რუსეთში იმალება, „მსოფლიოს პრესის შავი დღე“ უწოდა ასანჟის დაპატიმრებას. მსოფლიოს საზოგადოება ავსტრალიიდან აშშ-ის ჩათვლით ჟურნალისტებთან ერთად აპროტესტებს ასანჟის დაპატიმრებას. დიდი ბრიტანეთის ლორდთა პალატის 70-მა წევრმა თავიანთი ქვეყნის შსს მინისტრს მოუწოდეს, არ გადასცენ აშშ-ს ასანჟი, რადგან შესაძლოა, იგი სიკვდილით დასაჯონ. ამასთან, ბრიტანეთში ერთ-ერთი წამყვანი პარტიის, ლეიბორისტთა ლიდერი ჯერემი კორბი აქტიურად უჭერს მხარს ასანჟს. მის გარდა, ჰილუვუდის ვარსკვლავმა პამელა ანდერსონმა უცენზურო სიტყვებით მოიხსენია ეკვადორისა და ბრიტანეთის ხელისუფლება ასანჟის დაპატიმრების გამო.

აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს განცხადებით, ასანჟს ბრალად მათ ქვეყანაში ჰაკერული ქმედება ედება, რაც 5 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ექსპერტების ნაწილი უნდობლად შეხვდა ამ განცხადებას. მათი თქმით, ექსტრადაციის შემთხვევაში, ადვილი შესაძლებელია, ბრალდება შპიონაჟის მუხლით გადაკვალიფიცირდეს, რაც ხანგრძლივ, 35-წლიან პატიმრობას ან სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს, მიუხედავად იმისა, რომ ასანჟი აშშ-ის მოქალაქე არ არის. აღნიშნავენ იმ გარემოებასაც, რომ გამოქვეყნებული ფაქტები ასანჟს თავად არ მოუპოვებია, მას გადასცემდა ვინმე ბრედლი მენინგი, სპეცსამსახურის ყოფილი თანამშრომელი. დაპატიმრების შემდეგ ციხეში მენინგმა სქესი შეიცვალა ქალი გახდა და ახლა ჩელსი ჰქვია. პატიმრობაში იგი მხოლოდ ორი წელი იმყოფებოდა, შემდეგ გამოძიებასთან აქტიური თანამშრომლობისთვის გაათავისუფლეს.

**გია ბურდული**
551 71 27 07

## მადლობა

2005 წელს აბსურდული ბრალდებით დამაპატიმრეს და შემდეგ გამასამართლეს კიდეც. ერთწლიანი პატიმრობის შემდეგ, საპროცესო შეთანხმება გამიფორმეს, ვითომ სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად გამაყიდინეს თითქმის ყველაფერი, რაც კი მებადა.

პატიმრობიდან გათავისუფლებისთანავე დავიწყე სიმართლის დადგენისთვის ბრძოლა. სამწუხაროდ, ჩემი მცდელობა 2012 წლის შემოდგომამდე უნაყოფო იყო.

საბედნიეროდ, საქართველოში ყოველთვის გვყავდა და გვყავს თავისი საქმის პროფესიონალი, პატიოსანი ადამიანები. მათი წყალობით, 13 წლის შემდეგ მივაღწიე მიზანს — ბოლოს და ბოლოს დადგინდა, რომ აბსოლუტურად უდანაშაულო ვიყავი.

მადლობა მინდა გადავუხადო იმ ადამიანებს, ორგანიზაციებს, რომლებიც დამეხმარნენ სიმართლის პოვნაში. მადლობა სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტს ირაკლი ნადარეიშვილის ხელმძღვანელობით, გამომძიებელ ზვიად იზორიას, პროკურორებს ირაკლი ოქრუაშვილს და ბერდია სიჭინავას;

მადლობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიას ქალბატონ მარინა ხოლთაშვილის თავმჯდომარეობით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა მოსამართლეს ქალბატონ შორენა ჯანხოთელს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას ქალბატონ ქეთევან დუგლაძის თავმჯდომარეობით, მადლობა ტელეკომპანია „ობიექტივს“, გაზეთ „საერთო გაზეთის“ თანამშრომლებს.

განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსს ბატონ ზვიად ხუჯაძეს, რომელმაც სრულიად უცნობ ადამიანს მომცა კვალიფიციური რჩევა-დარიგება, თუ როგორ მეპოვა სამართალი. მადლობა ქალბატონ მზია თოდუას, უზენაესი სასასმართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს, იმისათვის, რომ მის უწყებაში მუშაობენ ზვიად ხუჯაძისთანა პროფესიონალი და გულისხმიერი ადამიანები.

დიდი პატივისცემით,
**ალეკო ხარჩილავა**


## ლაუნჯი „ესკობარი“



ლაუნჯი „ესკობარი“ ეს არის ადგილი, რომელიც მრავალფეროვანი პროგრამით, უგემრიელესი კერძებითა და ბარმენის მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუშებით ანებივრებს სტუმრებს. ცოცხალი მუსიკა, DJ, კარაოკე, ბენდი თუ სოლო შემსრულებლები, უამრავი გათამაშება და საჩუქრები, ეს ჩვენი ყოველდღიურობის შემადგენელი ნაწილია. ორშაბათიდან – ორშაბათამდე, დილის 10:00 საათიდან – გამთენიის 04:00 საათამდე, ესკობარი მზადაა აქციოს თქვენი დღე დღესასწაულად. ლაუნჯი „ესკობარი“, მისი უმშვენიერესი ტერასით, მზად არის უმასპინძლოს თქვენს კორპორატიულ საღამოებს, პრეზენტაციებსა თუ სხვადასხვა ღონისძიებებს.

მისამართი: თბილისი,
ავლიპ ზურაბაშვილის N 13-15
ტელეფონი: 555 607 999



საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ
შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983